F 171
1976

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

4

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ა პ რ ი ლ ი

თბილისი 1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VI-76 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,25

შეკვ. № 450 უე—04732 ტირაჟი 5 000

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11.
უშ. ჩხეიძის ქ № 19

Типография № 11, Государственного комитета по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 30 იანვრის ბრძანება № 65

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მარტივი ტიპის სასროლი ტირეების მშენებლობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ არსებული დადგენილებით საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, საქართველოს კპ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დავალებული აქვთ გაატარონ ღონისძიებანი დაწყებითი სამხედრო მომზადების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად და 1976 წლის 1-ელ სექტემბრამდე უზრუნველყონ რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლაში მარტივი ტიპის ღია, ნახევრადდახურული და დახურული სასროლი ტირეების მშენებლობის დამთავრება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

—ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით შეარჩიონ სათანადო ადგილი მარტივი ტიპის ღია, ნახევრადდახურული და დახურული ტირეების მშენებლობისათვის და გაითვალისწინონ ტირეების მშენებლობა ადგილობრივი ბიუჯეტით სკოლების რემონტისათვის გამოყოფილი სახსრებიდან;

—ტირეების მშენებლობის ადგილის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნეს უსაფრთხოების პირობების ზუსტად დაცვა;

—მშენებლობის დამთავრებისას სასროლი ტირის მიღება მოხდეს სპეციალური კომისიის მიერ და, ადგილობრივ შინაგან საქმეთა ორგ-

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

განოების ნებართვის შემდგომ, დაიწეროს ბრძანება მისი გამოყენების შესახებ;

—ტირების მშენებლობის დაწყების შესახებ მოხსენებითი ბარათი (თანდართული ფორმით) წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 25 მარტამდე;

—დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილი) დროულად უზრუნველყოს რესპუბლიკის განათლების განყოფილებები ღია და ნახევრადდახურული ტირების ესკიზებით, სათანადო რეკომენდაციებით; ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა პერიოდულად მომახსენოს.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 17 თებერვლის ბრძანება № 135

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმებზე სროლაში ვარჯიშების ჩატარების მდგომარეობის შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ რესპუბლიკის საშუალო სკოლების IX—X კლასებში დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამით გათვალისწინებული საცეცხლე მომზადების კურსი არადამაკმაყოფილებლად სრულდება. სროლაში გათვალისწინებული ვარჯიშები თბილისის, ქუთაისის, წყალტუბოს და სხვა ქალაქებისა და რაიონების ბევრ სკოლაში არ ტარდება. არასათანადო ყურადღება ექცევა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმებზე სროლაში ჩასატარებელი ვარჯიშების შესრულებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამით გათვალისწინებულ საცეცხლე მომზადების განყოფილების მთლიანად და ხარისხიანად შესრულებას, რისთვისაც უახლოეს დროში გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი.

§ 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო სკოლის დირექტორებმა და სამხედრო ხელმძღვანელებმა:

—უზრუნველყონ სამხედრო მომზადებაში IX—X კლ. მოსწავლეთა სათანადო მომზადება, რომ თითოეულმა სრულყოფილად იცოდეს საბრძოლო იარაღის მოწყობილობა, სროლის ილეთები და წესები. შეასწავლონ მოსწავლეებს მარჯვე სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან და გამოუმუშაონ სროლისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;

—სროლაში დამიზნების წესები ასწავლონ პრაქტიკულად, ყოველგვარი შაბლონისა და პირობითობის გარეშე;

—მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა ჩაატარონ მხოლოდ ისეთ სასროლო ტირეებში, სადაც დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა;

—სროლის წინ გულდასმით შეამოწმონ თითოეული მოსწავლე სროლის წესების, ილეთებისა და უსაფრთხოების ზომების ცოდნაში;

—სროლაზე არ დაუშვან მოსწავლეები, რომლებიც სუსტად არიან დაუფლებული სროლის წესებს, ილეთებს და კარგად არ იციან უსაფრთხოების ზომების დაცვა;

—1976 წლის 1-ლ მარტამდე შეადგინონ თითოეული საშუალო სკოლისათვის სროლაში ჩასატარებელი ვარჯიშების გრაფიკი იმ ანგარიშით, რომ 1976 წლის 15 მაისამდე რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლის IX—X კლ. მოსწავლეს ჩაბარებული ჰქონდეს სროლაში დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამით გათვალისწინებული № 6 და № 7 სამიზნეზე შესასრულებელი ვარჯიში, რომელიც, ამავე დროს, წარმოადგენს „მზთ“ კომპლექსის მესამე საფეხურის ნორმებზე ჩასაბარებელ ვარჯიშს;

—დადგინდეს, რომ მეცადინეობას სროლაში, როგორც წესი, უნდა დაესწროს: სკოლის დირექტორი, სამხედრო ხელმძღვანელი, ფიზკულტურის მასწავლებელი, მოცემული კლასის ხელმძღვანელი და სამხედრო კომისარიატის გამოცდილი ოფიცერი.

§ 3.

განათლების განყოფილებებმა უზრუნველყონ სროლაში „მზთ“ კომპლექსის დებულებით გათვალისწინებული ნორმების ჩაბარება მას-

წავლებლების მიერ (ქალები—34 წლის ასაკამდე და მამაკაცები 49 წლის ასაკამდე).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 4.

—დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მოახსენოს კოლეგიას 1976 წლის 1-ლ აგვისტომდე.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 18 თებერვლის ბრძანება № 139

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების სამხედრო ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სამხედრო ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანებების მუშაობა რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ფორმალურ ხასიათს ატარებს. ასე მაგალითად: წყალტუბოს, წალენჯიხის, დმანისის, ქარელის, ბოლნისის რაიონებში მეთოდური მეცადინეობები რეგულარულად არ ტარდება, მეცადინეობაზე სამხედრო ხელმძღვანელთა დასწრება დაბალია, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს მეთოდურ გაერთიანებათა მუშაობაში; ყურადღება არ ექცევა მოწინავე სამხედრო ხელმძღვანელთა მუშაობის გამოცდილების განზოგადებასა და მის პრაქტიკაში დანერგვას. მეცადინეობის პროცესში სამხედრო ხელმძღვანელები არ იღებენ საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას მომავალი მეცადინეობის ჩასატარებლად, არ იცნობენ დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებზე ნორმატიულ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

—1976 წლის 1-ლი მარტიდან სამხედრო ხელმძღვანელთა მეთოდურ გაერთიანებათა მეცადინეობა, როგორც წესი, ჩაატარონ ყოველი თვის პირველ და მესამე ოთხშაბათს, განათლების განყოფილებისა და ადგილობრივი სამხედრო კომისარიატის მიერ ერთობლივად შედგენილი და დამტკიცებული გეგმის მიხედვით;

—მეთოდური მეცადინეობის მთავარ ამოცანად დასახონ სამხედრო ხელმძღვანელების პედაგოგიური დაოსტატება, მათი წინასწარი მომზადება მომავალ მეცადინეობათა მაღალიდეურ და მეთოდურ დონეზე ჩასატარებლად, რამაც უნდა განაპირობოს დაწყებით სამხედრო მომზადებაში სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის მკვეთრად ამაღლება;

—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეთოდურ გაერთიანებათა მეცადინეობაზე ყველა სამხედრო ხელმძღვანელის რეგულარულად დასწრებას და მუშაობაში მათ აქტიურ შემოქმედებით მონაწილეობას;

—გაატარონ ქმედითი ღონისძიებები, რათა მეთოდურ მეცადინეობათა პრაქტიკაში ფართოდ დაინერგოს ღია გაკვეთილების ჩატარებისა და მოწინავე სამხედრო ხელმძღვანელების მუშაობის განზოგადება-გავრცელება;

—მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებზე ნორმატიული დოკუმენტებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და სახელმძღვანელო მასალების საფუძვლიანად შესწავლასა და შესრულებას;

—ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებთან ერთად სისტემატურად შეამოწმონ სამხედრო ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანებების მუშაობა და საკითხი მოისმინონ სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე;

—დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილი) ქმედითი დახმარება გაუწიოს მეთოდური გაერთიანებების მუშაობას და შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 23 თებერვლის ბრძანება № 177

საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახელობის რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1.

—მოსწავლეთა მისაღები კონტინგენტი 1976—1977 სასწავლო წლისათვის ოთხ IX კლასში დამტკიცდეს 120 მოსწავლის ოდენობით;

—მეცხრე კლასებში მიღებულ იქნეს 14—15 წლის ასაკის ვაჟები, რომლებიც მიმდინარე სასწავლო წელს წარმატებით დაამთავრებენ რვა კლასს, კარგად ფლობენ რუსულ ენას და ჯანმრთელობით ვარგისი აღმოჩნდებიან სწავლის გასაგრძელებლად სამხედრო სასწავლებლებში.

§ 2.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

—რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების დირექტორების, სამხედრო ხელმძღვანელების, ორგანიზატორების, მერვე კლასების ხელმძღვანელების, ადგილობრივი ალკკ კომიტეტების, სამხედრო კომისარიატებისა და მშობელთა კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით, ა/წ 15 მარტამდე ჩაატარონ სპეციალური თათბირები, სადაც გულდასმით განიხილონ ეს ბრძანება და სპეციალიზებულ საშუალო სკოლა-ინტერნატში მიღების პირობები;

—რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის დასაკომპლექტებლად შექმნან კომისიები, რომლებიც უნარიანად უხელმძღვანელებენ რვაწლიან, საშუალო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში რვაკლასდამთავრებულთაგან სათანადოდ მომზადებული, ღირსეული კანდიდატების დროულად შერჩევას;

—სკოლა-ინტერნატში მიღების პირობები დაწვრილებით გააცნონ მოსწავლეებს, სკოლების ხელმძღვანელებს, პედაგოგიურ კოლექტივებსა და მშობლებს;

—პირადი პასუხისმგებლობა დააკისრონ სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებს ამ ღონისძიების წარმატებით შესრულებისათვის;

—თანდართული ფორმის მიხედვით, ყოველი თვის 5 რიცხვში გვაცნობონ შერჩეულ კანდიდატთა რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ, ხოლო ა/წ 10 ივლისამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებას წარუდგინონ საჭირო საბუთები ყველა შერჩეულ კანდიდატზე.

§ 3.

ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

—მერვე კლასის მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩაატარონ სათანადო პედაგოგიური მუშაობა, განუმარტონ მათ ამ ახალი ტიპის სკოლა-ინტერნატის მიზანი და ამოცანები; ვრცლად და საფუძვლიანად გააცნონ აღსაზრდელთათვის დაწესებული უპირატესობანი და შეღავათები.;

—1976 წლის 1-ლ აპრილამდე მოისმინონ სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, თუ როგორ სრულდება სამხედრო პროფესიების არჩევისადმი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მიერ დასახული ღონისძიებანი;

—შერჩეულ კანდიდატებთან სისტემატურად ჩაატარონ სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა და მეცადინეობა—კონსულტაციები რუსულ ენასა და მათემატიკაში.

§ 4.

ეთხოვოს საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატს, მითითება მისცეს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომისარი-

ატებს, რათა რესპუბლიკური სპეციალიზებური საშუალო სკოლა-ინტერნატისათვის შერჩეული კანდიდატები გაატარონ საექიმო კომისიაზე იმავე წესით, რაც დადგენილია სუვოროვის სამხედრო სასწავლებელში შემსვლელთათვის.

§ 5.

ეთხოვოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, დაავალოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ქმედითი დახმარება გაუწიონ სახალხო განათლების ორგანოებს სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატისათვის მოსწავლე კომკავშირელთა რიცხვიდან ღირსეული კანდიდატების შერჩევის საქმეში.

§ 6.

დაევალოს გაზ. „სახალხო განათლებას" (ამხ. ნ. შველიძე), ფართოდ გაცნოს საზოგადოებრიობას რესპუბლიკურ სპეციალიზებულ საშუალო სკოლა-ინტერნატში მოსწავლეთა მიღების პირობები.

§ 7.

დაევალოთ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებს, მივლინებაში ყოფნის დროს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განათლების განყოფილებათა მიერ სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატისათვის მოსწავლეთა სათანადო კონტინგენტის შერჩევას.

§ 8.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. ა. ორახელაშვილი) ყოველი თვის მე-15 დღეს მომახსენოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 15 მარტის ბრძანება № 263

განათლების სამინისტროში შემოსული განცხადებებისა და საჩივრების საფუძველზე წალენჯიხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ წალენჯიხის რაიონი სგანათლების განყოფილებას (ამხ. ვ. ბელქანია) და მეთოდურ კაბინეტს (ამხ. ნ. ფიფია) საჭირო ღონისძიებები არ განუხორციელებიათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 4 მაისის № 287 ბრძანების, სახალხო განათლების სისტემის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სხვა დადგენილებებისა და მითითებების შესასრულებლად.

განათლების განყოფილების აპარატისა და მეთოდური კაბინეტის მუშაობის შემოწმებით დასტურდება, რომ სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის რაიონში არ ხორციელდება საჭირო ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი; უგულებელყოფილია მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვის, პასუხის გაცემის, აგრეთვე ზოგიერთ სკოლაში შექმნილი არაჯანსაღი და დაძაბული ვითარების მიზეზების დადგენისა და საფუძვლიანი გადაწყვეტილებების მიღების საქმე. ასე, მაგალითად, განათლების განყოფილებამ დროზე არ შეამოწმა წალენჯიხის 1-ლი საშ. სკოლის დირექტორისა (ამხ. ვ. მიქავა) და სკოლის მასწავლებლების (ქ. ფიფია, გ. ფურთუხია, ც. ბულია, თ. ლუკ`ვა) დავის მიზეზები. ამასთან, რეაგირების გარეშე დატოვა ამ სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელის მ. ქუხილავასა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, რაიონის მეთოდური კაბინეტის

მეთოდისტის ნ. ესვანჯიას ურთიერთშეურაცხყოფისა და სკოლის მუშაკთათვის ყოვლად შეუფერებელი საქციელი, რამაც სახელი გაუტეხა სკოლას, ზიანი მიაყენა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს.

განათლების განყოფილებაში 1975 წლის 18 დეკემბერს (თარიღი გადასწორებულია) მიღებულია ლიის საშ. სკოლის მასწავლებლის განცხადება, რომელიც სერიოზულ ბრალდებებს უყენებდა ლიის საშ. სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში და სკოლის ზოგიერთ სხვა მუშაკს. ამ საკითხის შემოწმების შესახებ განათლების განყოფილებას არავითარი საბუთი არ მოეპოვება, განცხადება კი 1975 წ 22 დეკემბერს ჩაშვებულია საქმეში წარწერით „განმცხადებელი დაკმაყოფილებულია".

არადამაკმაყოფილებელია განათლების განყოფილებისა და მეთოდური კაბინეტის გამგეების, ინსპექტორებისა და მეთოდისტების დახმარება მასწავლებელთა მუშაობაზე. მათ მიმდინარე სასწავლო წლის 20 იანვრამდე მოსმენილი აქვთ გაკვეთილების მინიმალური რაოდენობა — განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ბელქანიას მოსმენილი ჰქონდა მხოლოდ 4 გაკვეთილი, სასკოლო ინსპექტორს ამხ. ვ. ყვანიას-7, მეთოდისტ ამხ. ვ. თულორდავას-12 გაკვეთილი და სხვ. ანალიზები ზერელე და არაკვალიფიციურია. სკოლებში განათლების განყოფილებისა და მეთოდური კაბინეტის მიერ დაგზავნილი არ არის წერილობით სასწავლო-აღმზრდელობითი და მეთოდური მუშაობის შემოწმების შედეგებზე მიღებული დადგენილებები, მითითებები და რეკომენდაციები.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სპეციალობის მიხედვით მასწავლებელთა დანიშვნის საქმეს. რუსული ენის მასწავლებლად დანიშნულია ერთი ეკონომისტი, ორი ისტორიკოსი, ერთი ბიოლოგი. გეოგრაფიას ასწავლის: ორი ისტორიკოსი, ერთი აგრონომი, ერთი საშუალო განათლებისა და ერთი პოლიტექნიკური განათლების მქონე მასწავლებელი. წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის ზოგიერთ კლასში ისტორიასა და თითქმის ყველა კლასში ფიზკულტურას არასპეციალისტები ასწავლიან. ამასთან, ამ სკოლაში შეთავსებით მუშაობს 11 მასწავლებელი, რაც გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენს სკოლის ნორმალურ მუშაობაზე.

სრულიად უპასუხისმგებლოდ არის წარმოებული საშუალო განათლების ატესტატების, რვაწლიანი განათლების მოწმობებისა და ქების სიგელების სარეგისტრაციო წიგნი, რომელიც 1958 წელს მიუღია განათლების განყოფილებას და აქვს წარწერა „სიმწიფის ატეს-

ტატის ბლანკების აღრიცხვის წიგნი". მისი პირველი და ბოლო გვერ-
დი შეუსებელია, არ არის დანომრილი, იგი დაილუქა განათლების
განყოფილების მუშაობის შემოწმების პერიოდში. ამ წიგნში
ლია როგორც ატესტატები, ისე მოწმობები და ქების სიგელები,
არის რიცხვებისა და სიტყვების ამოშლისა და გადასწორების შემთ-
ხვევები, არასწორად არის შევსებული შემოსავლისა და გასავლის
ფურცლების გრაფები.

ძალზე ცუდად მუშაობს მეთოდური კაბინეტის ბიბლიოთეკა,
რომლის წიგნადი ფონდი დაწყობილია ყოველგვარი კლასიფიკაციის
გარეშე, არა აქვს მეთოდური ლიტერატურის სარეკომენდაციო სიე-
ბი, აგრეთვე საგნებისა და კლასების მიხედვით გამოსაყენებელი ლი-
ტერატურის სიები. მეთოდური კაბინეტის ზოგიერთ მუშაკს წარმოდ-
გენა არ აქვს, რა სახის მეთოდური ლიტერატურა მოეპოვება ბიბლი-
ოთეკას მისი სპეციალობის მიხედვით.

საჭირო ღონისძიებები არ ხორციელდება საყოველთაო-სავალ-
დებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველ-
თაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების უზრუნველსა-
ყოფად. ობუჯის, ლიისა და ლანჯიშის სკოლებიდან განთესილია 3
მოსწავლე, ამასთან, ავადმყოფობის მიზეზით გასულია 2 მოსწავლე.
„აკადემიური" შვებულება აქვს მიცემული 6 მოსწავლეს, რომლებთა-
ნაც ინდივიდუალური მეცადინეობა არ მიმდინარეობს. არასრულწლო-
ვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილების გარეშე დღის სკოლის
VII—VIII კლასების 2 მოსწავლე გადაყვანილია საღამოს სკოლაში.
აღრიცხული არ არის 16—29 წლის ის მოქალაქენი, რომლებმაც
სხვადასხვა დროს დაამთავრეს 8 კლასი და არ სწავლობენ. 1974—
1975 სასწავლო წელს 842 რვაკლასდამთავრებულიდან ჩამოშორდა
სწავლებას 18. განათლების განყოფილებას არ მოეპოვება ცნობები
საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს და საშუალო
სპეციალურ სასწავლებლებში ჩარიცხვის ან სამუშაოზე მოწყობის
შესახებ.

არადამაკმაყოფილებელია I კლასში მიღებულ მოსწავლეთა კონ-
ტინგენტის შენარჩუნების მაჩვენებლები. მაგალითად, X კლასში სწავ-
ლობს I კლასში მიღებულ მოსწავლეთა 61%, ხოლო, VIII კლასში—
80,7%.

განათლების განყოფილებას არასწორი ცნობები მოეპოვება
1975—1976 სასწავლო წლის II მეოთხედში რაიონის სკოლების აკა-
დემიური მაჩვენებლების შესახებ. განყოფილების მასალებით იგი უდ-

რის 92,7%-ს. ფაქტიურად კი 89,5%-ს არ აღემატება (ოთხის 7681 მოსწავლიდან შეუფასებელია 259, ვერ ასწრებს 540, ასწრებს 6882 მოსწავლე). დიდია მოსწავლეების მიერ არასაპატიო-მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რიცხვი: I მეოთხედში გაცდენილია 8,953 გაკვეთილი, ხოლო II მეოთხედში—10,138.

განათლების განყოფილების კვარტალურ, სახალხო განათლების საბჭოსა და მეთოდური კაბინეტის სამუშაო გეგმებში არ ჩანს ახალ სასწავლო გეგმებზე გადასვლის შედეგების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფის, ახალგაზრდა მასწავლებლებთან მუშაობის, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების, სკოლის შესახებ ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებების განხილვის, განათლების სამინისტროდან მიღებული ბრძანებების შესრულებისა და მეთოდური კომისიების მუშაობის გარდაქმნის საკითხები. ამასთან, ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა პროფორიენტაციას, შრომით აღზრდას, ფაკულტატიურ მეცადინეობას, სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას და სხვ.

მძიმე მდგომარეობაა შექმნილი წალენჯიხის 1-ელ საშუალო სკოლაში. როგორც ირკვევა, სკოლის დირექტორს, ამხ. ვ. მიქავას, რომელიც სხვა სამუშაოებზე ყოფნის გამო, დაახლოებით 25 წლის განმავლობაში მოწყვეტილი იყო სასკოლო ცხოვრებას, გაუჭირდა ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასული სკოლის ხელმძღვანელობა.

დირექტორი ვ. მიქავა, სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის, შრომის ორგანიზაციისა და მოსწავლეთა შორის დისციპლინის დამყარების უზრუნველყოფისას, ხშირად მიმართავს ადმინისტრაციული ზემოქმედების ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებმაც სკოლის დირექტორის წინააღმდეგ განაწყვეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ფურთუხია, სკოლის ორგანიზატორი, სახალხო კონტროლის კომისიის თავმჯდომარე ქ. ფიფია და ზოგიერთი მასწავლებელი. სკოლის დირექტორსა და სკოლის მასწავლებლებს შორის არაკოლეგიურმა დამრკიდებულებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე, სკოლაში მოსწავლეთა აღზრდის პროცესის სრულყოფაზე, სწავლების ხარისხზე.

სკოლის მუშაკთა ერთმა ნაწილმა, მათ შორის იმ პირებმა, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობით ვალდებული იყვნენ დირექტორთან ერთად ეზრუნათ სკოლის კეთილდღეობისათვის, ერ-

თობლივად გადაეჭრათ თანამედროვე ეტაპზე სკოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანები; გამოიჩინეს უტაქტობა, მოიქცნენ არაპედაგოგიურად, ყოველი წვრილმანი გახადეს სადაოდ და უკმაყოფილების მიზეზად, რამაც გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა სკოლის ნორმალურ მუშაობაზე.

წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორ ვ. მიქავაზე შემოსული საჩივრების შემოწმებით დადასტურდა, რომ მან:

ა) 1974—1975 სასწავლო წელს დაარღვია საფინანსო დისციპლინა, ბანკის ოპერაციების გარეშე, სკოლისათვის გამოიყენა მოსწავლეების მიერ გამომუშავებულ 236 მანეთი;

ბ) შემოქმედებით ოლიმპიადებში მოსწავლეების მონაწილეობის ხარჯებისათვის მასწავლებლებსა და მოსწავლეთა ბოშლებში შეაგროვა 858 მანეთი;

გ) გუნდის ხელმძღვანელობის ნახევარი განაკვეთი შეუთავსა უფროს პიონერხელმძღვანელს—მ. ქუხილავას, რომელსაც არა აქვს სპეციალური განათლება, ხოლო ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელობა—ასევე არასპეციალისტს, სახვითი ხელოვნების მასწავლებელს ა. ქარჩავას;

დ) საპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების ხელფასი დაუკავა მასწავლებლებს ქ. ფიფიასა და გ. ფურთუხიას;

ე) 1974—1975 სასწავლო წელს არასწორად დააკომპლექტა IX კლასები. ერთ IX კლასში ირიცხებოდა 37 მოსწავლე (ისწავლებოდა გერმანული ენა), მეორეში—13 (ისწავლებოდა ინგლისური ენა);

ვ) იგი, ხშირად, მცირე დანაშაულისათვის მკაცრად სჯიდა სკოლის ზოგიერთ მუშაკს, რითაც სკოლაში ქმნიდა ნერვიულ ატმოსფეროს. მაგალითად, მან 1974 წლის პირველ თებერვალს „მასწავლებელთა ქცევის წესების ნორმების დარღვევისათვის“ საყვედური გამოუცხადა პარტიული ორგანიზაციის მდივანს, მათემატიკის მასწავლებელს გ. ფურთუხიას. საჭირო ღონისძიებები არ გაატარა უფროს პიონერხელმძღვანელ მ. ქუხილავასა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ნ. ესვანჯიას შორის არსებული არაჯანსაღი ურთიერთობის აღკვეთისათვის.

წალენჯიხის 1-ლ საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასებისა და ზოგიერთი სასწავლო დისციპლინის სწავლების მდგომარეობის შემოწმებით გამოირკვა, რომ ცუდად მუშაობს მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი პ. კალანდია, იგი არ ემზადება გაკვეთილისათვის, ამასთან, ნაცვლად 35 წუთისა, 45 წუთიან გაკვეთილებს ატარებს. არასწორად

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ანაწილებს სასწავლო გეგმით ექსკურსიებისა და ფიზიკური აღზრდისათვის განკუთვნილ საათებს. ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ პირველი კლასის მასწავლებელი კ. ჩალიგავა და მეორე კლასის მასწავლებელი შ. დარასელია.

ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის IV კლასების მასწავლებლები ზ. ქაჯაია და ვ. ყალიჩავა, VIII კლასის მასწავლებელი ვ. კვარაცხელია. საკონტროლო წერის ნორმებს ვერ ასრულებენ მასწავლებლები ვ. ყალიჩავა, მ. ჯანაშია.

დაბალ დონეზე ისწავლება მათემატიკა დასახელებული სკოლის VIII კლასში (მასწავლებელი მ. ფანცულაია) და VI კლასში (მასწავლებელი ვ. კვარაცხელია). ამ კლასში საკონტროლო წერის შედეგად 21 მოსწავლიდან „3“ დაეწერა მხოლოდ ორ მოსწავლეს, ხოლო ნიშანი „2“—19 მოსწავლეს.

ფიზიკა ცუდად ისწავლება წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის VI—VIII და X კლასებში (მასწავლებელი ს. ფიფია). იგი უგულებელყოფს ამოცანებზე ვარჯიშს და ფრონტალურ-ლაბორატორიულ სამუშაოებს. მოუწყობელია ფიზიკის კაბინეტი, აქ არ არის დენის წყარო და საცდელი მუშაობისათვის სხვა საჭირო პირობები.

სკოლაში არ არის ისტორიის კაბინეტი, თვალსაჩინოებისათვის საჭირო რუკები, სწავლების ტექნიკური საშუალებები. შექმნილი არ არის ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა მეთოდური კომისია და საგნობრივი წრე.

წალენჯიხის 1-ელ საშუალო სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ბიოლოგიის სწავლებას. გავლილი მასალის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს V კლასის მოსწავლეებმა ბოტანიკაში (მასწავლებელი ე. ჭანტურია). VIII კლასის პროგრამულ მასალას ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასა და ჰიგიენაში 4—5 საათით ჩამორჩება, არ ტარდება საკონტროლო წერები, მოუწყობელია ბიოლოგიის კაბინეტი, სკოლას არ აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, სასათბურე მეურნეობა.

დაწყებით სამხედრო მომზადებასა და სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას საჭირო ყურადღებას არ აქცევენ სკოლის დირექტორი ვ. მიქავა და სამხედრო ხელმძღვანელი მ. შელია. სკოლას არ აღმოაჩნდა დაწყებითი სამხედრო მომზადების ახალი პროგრამა, არასწო-

რად იგეგმება შესასწავლი მასალა. დაბალ დონეზე ტარდება დაწყებითი სამხედრო მომზადების გაკვეთილები, რის გამოც მოსწავლეთა დიდი ნაწილი დამაკმაყოფილებლად ვერ ფლობს პროგრამულ მასალას. სკოლა უზრუნველყოფილი არ არის დაწყებითი სამხედრო მომზადებისათვის საჭირო მატერიალური ბაზით—არა აქვს სასროლი ტირი, დაზიანებულია კინოაპარატი, მოძველებულია სტენდები და სხვ.

1-ლი საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ა. კვარაცხელია დეკრეტულ შვებულებაშია. ამ საგნის სწავლება დაუვალებიათ მ. შელიასა (სამხედრო ხელმძღვანელი) და მ. ცანავასათვის (სამნეო ნაწილის გამგე და საკალანდიოს რვაწლიანი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი), რომელთაც არ აქვთ სპეციალური განათლება და საგანს არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან. სპორტულ დარბაზში იატაკი უვარგისია, მინები ჩამტვრეულია, ხოლო მოსწავლეთა გასახდელი ოთახი სხვა დანიშნულებისათვის არის გამოყენებული. მშ-ს ნიშნებზე მოსწავლეების მომზადებისათვის ჩატარებული მუშაობის შესახებ სკოლას არავითარი ცნობა არ მოეპოვება. ფიზკულტურის მასწავლებელ მ. შელიას არა აქვს ფიზკულტურის პროგრამაც კი.

ერთფეროვანი და ზოგადია წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები. 1975—1976 სასწავლო წლის II ნახევრის სამუშაო გეგმებში არცერთ კლასის ხელმძღვანელს შეტანილი არა აქვს „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ გაცნობის, პროფორიენტაციის, კავშირგარეშე ახალგაზრდებთან მუშაობისა და სხვა საკითხები. სკოლაში დარღვეულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1970 წლის 31 დეკემბრის ინსტრუქცია „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მოსწავლეთა ყოფაქცევის შეფასების შესახებ“, არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი და სხვ.

წალენჯიხის განათლების განყოფილების, მეთოდური კაბინეტისა და 1-ლი საშუალო სკოლის მუშაობაში გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. წალენჯიხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ვ. ბელქანიამ):

ა) არსებითად გააუმჯობესოს განათლების განყოფილების აპარატის მუშაობა. კვარტალურ სამუშაო გეგმებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ ღონისძიებებს, რომლებიც სახალხო განათლების ორგანოების წინაშე დააყენეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობებმა. დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი განათლების აპარატისა და რაიონის მეთოდური კაბინეტის მუშაობაში გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, სრულყოს სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება;

ბ) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეამოწმოს რაიონის სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების მდგომარეობა. სასკოლო ასაკის ყველა განთესილი ბავშვის სკოლაში დაბრუნებასთან ერთად უზრუნველყოს 16—29 წლის იმ მოზრდილ მოქალაქეთა აღრიცხვა და ახალ სასწავლო წელს სწავლებაში ჩაბმა, რომლებიც სხვადასხვა დროს გავიდნენ სკოლიდან, არა აქვთ საშუალო განათლება და არსად არ სწავლობენ;

გ) კვალიფიციურად ჩაატაროს სკოლების მუშაობის შემოწმება. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების პერიოდში კონტროლი დააწესოს სასწავლო პროგრამების გავლის მდგომარეობასა და მასალის ათვისების ხარისხზე; ჩამორჩენილობის შემთხვევაში გაატაროს სასწრაფო ღონისძიებანი—განაზოგადოს შედეგები, სისტემატურად მოახდინოს სკოლებზე მიცემული დავალებების შესრულების შემოწმება;

დ) სკოლების შემოწმების დროს, სხვა ძირითად სასკოლო დოკუმენტებთან ერთად, გულდასმით განიხილოს სკოლის წლიური სამუშაო გეგმა, კლასის ხელმძღვანელთა, ორგანიზატორისა და უფროსი პიონერხელმძღვანელის სამუშაო გეგმები, გაკვეთილების ცხრილი. გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე სკოლებს მისცეს საქმიანი მითითებები;

ე) ზუსტად აღრიცხოს სკოლების ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და სხვ. კაბინეტებით უზრუნველყოფის მდგომარეობა, იზრუნოს მათი სრულყოფი-

სათვის, შექმნას საჭირო პირობები სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებისათვის;

ვ) ყველა სკოლა უზრუნველყოს სასწავლო-საცდელი მიწა-ფეხებით, იზრუნოს სასწავლო ნაკვეთებზე სასათბურო მეურნეობის ან კვალსათბურისა და ზოოლოგიის განყოფილების მოწყობისათვის. ყველა სკოლაში შექმნას სათანადო პირობები ლაბორატორიული და საცდელი პრაქტიკული მუშაობისათვის;

ზ) გააუმჯობესოს მუშაობა სკოლისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ეზოების გზების, მისასვლელების და სასწავლო-საცდელი ნაკვეთების კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის. აქტიური მონაწილეობა მიიღებინოს სკოლებს თემატურ კონკურსებში, ბუნების დაცვისა და მისი კვლავწარმოების საერთო-სახალხო ამოცანების განხორციელებისათვის გასატარებელ ღონისძიებებში;

თ) ზუსტად აღრიცხოს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობას. ცალკე იქონიოს იმ მოსწავლეებთან მუშაობის მასალები, რომლებიც ავადმყოფობის მიზეზით გავიდნენ სკოლიდან და განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებენ;

ი) სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე საგნების მიხედვით განიხილოს ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლის მდგომარეობა, მეთოდები და ხერხები. სკოლების მთელი საქმიანობა წარმართოს ისე, რომ ამაღლდეს გაკვეთილების, როგორც სწავლების ძირითადი ფორმის, ეფექტიანობა;

კ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მშრომელთა მიღების, აგრეთვე. განცხადებების, საჩივრების აღრიცხვისა და მათზე დროულად პასუხის გაცემის საქმეს; რეაგირების გარეშე არ დატოვოს განათლების განყოფილების წინაშე დასმული არცერთი საკითხი;

ლ) ყურადღება მიაქციოს რვაკლასდამთავრების მოწმობებისა და საშუალო განათლების ატესტატების მიღების, აღრიცხვისა და გაცემის საქმეს;

მ) მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებებისა და განათლების სამინისტროს ბრძანებების შესრულების საქმეს. საკითხები, რომლებიც განათლების ორგანოების მუშაობას ეხება, განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და სკოლებს მისცეს საქმიანი მითითებები;

ნ) არსებითად გააუმჯობესოს პედაგოგიურ კადრებთან მუშაობა. გადასინჯოს წალენჯიხის 1-ელ საშუალო სკოლაში შეთავსებით მო-

მუშაკეთა პედაგოგიური დატვირთვა, არ დაუშვას სკოლებში შეთავსებით მომუშავე პირთა კვირეული დატვირთვის თვითნებურად გაზრდის არცერთი შემთხვევა, სრული წესრიგი დაამყაროს ამ საქმეში;

ო) სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე განიხილოს განათლების სამინისტროს აღნიშნული ბრძანება „განათლების სამინისტროში შემოსული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების საფუძველზე წალენჯიხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და წალენჯიხის 1-ელი საშუალო სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“, მის მიერ მიღებული ღონისძიება, განათლების სამინისტროს ბრძანებასა და ბრიგადის მოხსენებით ბარათთან ერთად, განსახილველად დაუგზავნოს რაიონის სკოლებს. ყველა საშუალო და რვაწლიან სკოლაში ამ ბრძანებისა და მოხსენებითი ბარათის გასაცნობად მიავლინოს განათლების განყოფილების აპარატისა ან მეთოდური კაბინეტის, აგრეთვე სახალხო განათლების აქტივის წარმომადგენლები;

პ) სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე ცალკე განიხილოს იმ მასწავლებელთა საკითხი, რომელნიც ბრიგადის მოხსენებით ბარათსა და ბრძანებაში მოხსენებულნი არიან, როგორც ცუდად მომუშავენი. პერსონალურად იმსჯელოს თითოეულ მათგანზე და გატარებული ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიება დაურთოს მათ საატესტაციო მასალებს;

ჟ) განათლების განყოფილებამ 1976 წლის 1-ელ ოქტომბრამდე განათლების სამინისტროს მოახსენოს ამ ბრძანების შესრულების უზრუნველსაყოფად გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

2. რაიონის მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. მ. ფიფია):

ა) მეთოდურ კაბინეტსა და სკოლებში მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნების ღონისძიებანი წარმართოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 23 აგვისტოს № 403 ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეთოდური მუშაობის შესახებ“ შესაბამისად.

ბ) აღმოფხვრას ფორმალური დამოკიდებულება მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნების საქმისადმი, ისე ააგოს მეთოდური კაბინეტის სამუშაო გეგმა, რომ მან ასახოს ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობის ძირითადი თემები; ყურადღება მიაქციოს იმას, რომ სკოლებსა და სასკოლათაშორისო მეთოგაერთიანებების სამუშაო გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ინტერნაციონალური, ესთეტიკური, ზნეობრივი და ათეისტური აღზრდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხებმა, სადემონსტრაციო, ლაბორატორიული და საცდელი-პრაქტიკული სამუშაოების თემატიკამ;

გ) ქმედითი გახადოს სკოლებში მეთოდური მუშაობა, გაზარდოს მეთოდისტთა პირადი პასუხისმგებლობა სკოლებისა და სასკოლათაშორისო მეთოდური მუშაობის დაგეგმვის საქმისადმი. კაბინეტის მუშაკებმა უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა თემატიკის შერჩევაში და წაკითხული მოხსენების განხილვაში, იზრუნონ მოწინავე მასწავლებელთა დადებითი გამოცდილების განზოგადებისათვის, დანერგონ ღია კარისა და ღია გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა;

დ) ყურადღება მიაქციოს სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებისა და კლასგარეშე მუშაობის ღონისძიებებზე მეთოდური დახმარების საკითხებს; კაბინეტმა იქონიოს მეთოდური რეკომენდაციები საგნობრივი, ტექნიკური, ნატურალისტური და სპორტული წრეების მუშაობის, აგრეთვე შემაჯამებელი კონკურსების (რაიონული, რესპუბლიკური), გამოფენებისა და მოსწავლეების მიერ შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებების ჩატარებისათვის;

ე) მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნებისათვის, ამ კლასების მასწავლებელთა მეთოდურ გაერთიანებათა ხელმძღვანელების შერჩევის დროს გაითვალისწინოს მათი განათლება, პრაქტიკული გამოცდილება და მინდობილი საქმის შესრულებისადმი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა;

ვ) გადაამოწმოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. არსებული წესის მიხედვით მოახდინოს მათი კლასიფიკაცია. ბიბლიოთეკა უზრუნველყოს მასწავლებელთა მეთოდური დახმარებისათვის საჭირო ლიტერატურით, არ დაუშვას სეზონურობა ახალი წიგნებით შევსების საქმეში.

3. წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორმა (ამხ. ვ. მიქავა):

ა) ღრმა ანალიზი გაუკეთოს სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგებს, შექმნას ყველა პირობა სკოლაში მასწავლებელთა შორის კოლეგიური დამოკიდებულების, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისა და ახალგაზრდობის ცხოვრებისათვის, მოსამზადებლად საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში აქტიური მონაწილეობისათვის;

ბ) სისტემატურად იზრუნოს სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის სრულყოფისათვის, მტკიცედ იხელმძღვანელოს განათლების სამინისტროს ბრძანებებით, მითითებებითა და საინსტრუქციო ხასიათის

წერილებით; არ დაუშვას საფინანსო დისციპლინის დარღვევის არცერთი შემთხვევა, ადმინისტრაციული და სამეურნეო საკითხებიდასაჭრელად უფრო მეტად დაასაქმოს სკოლის სამეურნეო დარგის მუშაკები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მრავალფეროვანი და საინტერესო გახადოს მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, ინტერნაციონალური, ესთეტიკური, ზნეობრივი, ათეისტური, შრომითი, აგრეთვე სამართლებრივი აღზრდის საკითხები. პოლიტინფორმაციის განრიგში, დღეებთან ერთად, უჩვენოს დრო და ადგილი; ინფორმაციებში განსკუთრებული ადგილი დაუთმოს სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალების გაცნობას;

დ) გადახედოს სკოლისა და კლასების სამუშაო გეგმებს, აგრეთვე სხვა ძირითად სასკოლო დოკუმენტებს, სრულყოს ისინი ბრიგადის მიერ წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით;

ე) სკოლაში უფრო საქმიანი გახადოს მასწავლებელთა შორის მეთოდური და საგნობრივი წრეების მუშაობა, ამასთან ერთად, შექმნას ტექნიკური, ნატურალისტური და სპორტული წრეები, საჭირო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს მათ;

ვ) მეტი ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა პროფორიენტაციის საქმეს, საამისოდ შექმნას კომისია, შეადგინოს გეგმა, რომელშიც პირველ რიგში შეიტანოს ანკეტური გამოკითხვების ჩატარება, დისპუტები მომავალი პროფესიის შესახებ, მხატვრული ფილმების განხილვა, პროფესიის ამსახველი ლიტერატურის გარჩევა, სოციალისტური შრომის გმირებთან, მეცნიერებსა და მოწინავე ადამიანებთან შეხვედრები, დიდ საწარმოებში გეგმიური სასწავლო ხასიათის ექსკურსიების მოწყობა და სხვა. შექმნას სათანადო პირობები იმისათვის, რომ სკოლამ მონაწილეობა მიიღოს რაიონულ და რესპუბლიკურ კონკურსებსა და მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენებში, გააუმჯობესოს სიმღერის გუნდისა და ქორეოგრაფიული წრის მუშაობა;

ზ) უფროსი პიონერხელმძღვანელისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობის გაუმჯობესებით უფრო საინტერესო და შინაარსიანი გახადოს პიონერული და კომკავშირული კლასების მუშაობა. მთელი აღმზრდელობითი საქმიანობა წარმართოს პიონერული მარშრუტებით, სადაც წარმოდგენილ იქნება თითოეული მარშრუტის შინაარსი; საპროგრამო მასალიდან გამოიყოს საკითხები, რომლებიც ხელს შეუწ-

ყობს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) არსებითად გარდაქმნას კომკავშირული და პიონერული კლასების ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანების მუშაობა. მათ სამუშაო გეგმებში, სხვა საკითხებთან ერთად, შეიტანოს პიონერებსა და კომკავშირელებთან მუშაობის მეთოდები, ადამიანის მორალური კოდექსი, ქცევის ნორმები, მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო ესთეტიკისა და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის საკითხები;

ი) შექმნას საჭირო პირობები სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენებისა და პროგრამით გათვალისწინებული ამოცანებისა, ცდებისა და ლაბორატორიული სამუშაოების გეგმიურად ჩატარებისათვის, არ დაუშვას თვალსაჩინოების გარეშე გაკვეთილების ჩატარების არცერთი შემთხვევა;

კ) აღკვეთოს საპროგრამო მასალის შესწავლისათვის გეგმით გათვალისწინებული საათების თვითნებურად შემცირება ან გადიდება, ცვლილებების აუცილებლობის შემთხვევაში მიიღოს განათლების განყოფილების ოფიციალური თანხმობა.

4. წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ბელქანიას განათლების სამინისტროს დავალებების არადამაკმაყოფილებლად შესრულების, განათლების განყოფილების აპარატის, პედაგოგიური კაბინეტისა და სკოლების მუშაობაზე არაოპერატიულად ხელმძღვანელობის, მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრებისადმი უყურადღებო დამოკიდებულებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

5. წალენჯიხის რაიონის პედაგოგიური კაბინეტის გამგეს ამხ. ნ. ფიფიას, რომელმაც ვერ შეასრულა განათლების სამინისტროს 1972 წლის 4 მაისის № 287 ბრძანება და კაბინეტის მუშაკები ვერ დარაზმა სარაიონო, სასკოლათაშორისო და სასკოლო მეთოდური გაერთიანებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ამასთან, არავითარი ღონისძიება არ განახორციელა რაიონის მეთოდურ კაბინეტში მასწავლებელთა დახმარებისათვის თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ბაზის შესაქმნელად, გამოეცხადოს საყვედური.

6. წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ვ. მიქავას საფინანსო დისციპლინის დარღვევის, სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დაბალ დონეზე დაყენების, ზოგიერთ საგანში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მომზადებისა და სკოლაში არაკოლეგი-

ური მუშაობისა და უტაქტობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საჩივრის შემოწმებისა და მოგვარებულად განათლების სამინისტროში გამოგზავნილი განცხადების ავტორები-გ. ფურთუხია გადაყვანილია მე-2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, ქ. ფიფია—წალენჯიხის საღამოს სკოლის დირექტორად, ც. ბულია—სოფელ ზღვაიას საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ხოლო ფიზკულტურის მასწავლებელი თ. ლუკავა განთავისუფლებულია 1-ლი სკოლიდან, როგორც შეთავსებით მომუშავე.

ამ სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი მ. ქუხილავა და მეთოდისტი ნ. ესვანჯია, რომლებიც შეთავსებით მუშაობდნენ წალენჯიხის 1-ელ საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სკოლაში შექმნილი მდგომარეობას გამო 1976 წლის 23 თებერვლიდან განთავისუფლებულნი არიან.

8. ეს ბრძანება განხილულ იქნეს წალენჯიხის რაიონის სახალხო განათლებისა და ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

9. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე;

ბ) 1976—1977 სასწავლო წლის III მეოთხედში შეამოწმოს აღნიშნული ბრძანების შესასრულებლად წალენჯიხის 1-ელ საშუალო სკოლაში ჩატარებული მუშაობა და შედეგები მომახსენოს.

10. მინისტრის მოადგილემ, ამხ. კ. მაჭარაშვილმა 1975—1976 სასწავლო წლის დამლევისათვის გადახედოს წალენჯიხის რაიონის გაგანათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტისა და სკოლების კადრებით დაკომპლექტების საკითხს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 4 მარტის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ლაშქარაშვილს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ თ ი ბ ა რ ა თ ი

განათლების სამინისტროში შემოსული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრის საფუძველზე წალენჯიხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და წალენჯიხის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

1975-1976 სასწავლო წლის მესამე მეოთხედის დასაწყისში სკოლების სამმართველოს ბრიგადამ, განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორების ნ. ახვლედიანის (ხელმძღვანელი), ნ. გიორგობიანის, მ. დევდარიანისა და დ. მახარაძის, დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის გ. დანიელოვის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების სასკოლო ინსპექტორის კ. ჩხაიძის, ქ. თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტის ა. კვასხვაძის, განათლების სამინისტროს სწავლების ტექნიკურ საშუალებათა რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტების მ. კორკოტაშვილის, ს. დვალიშვილისა და ლ. ჯანიაშვილის, შტატგარეშე ინსპექტორის ლ. გოგიავას შემადგენლობით, შეამოწმა განათლების სამინისტროში შემოსული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრის საფუძველზე წალენჯიხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და წალენჯიხის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების მუშაობა.

ბრიგადის მიერ შემოწმების მასალების ანალიზი ასეთი სურათს იძლევა:

1. განათლების განყოფილება

წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილების მუშაობის შესწავლის დროს ბრიგადა, ძირითადად, ხელმძღვანელობდა საქართ-

ველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 4 მაისის № 287 ბრძანებით, რომელიც ეხება წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილებისა და ამავე რაიონის ზოგიერთი სკოლის მუშაობის [illegible] მების შედეგებს.

შემოწმებით გამოირკვა, რომ, სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა მომზადების დონის ამაღლებისათვის გატარებული ერთგვარი მუშაობის მიუხედავად, წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილებასა და მეთოდურ კაბინეტს (ამხ. ამხ. ვ. ბელქანია და ნ. ფიფია) ყველა საჭირო ღონისძიება არ გაუტარებიათ აღნიშნული ბრძანებისა და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების შესრულების უზრუნველსაყოფად.

რაიონში არ ტარდება საჭირო ღონისძიებანი საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო სამუალო განათლებაზე გადასვლის შესახებ მიღებული დადგენილებების შესასრულებლად. მაგალითად: ობუჯის, ლიისა და ლანჯიშის სკოლებიდან განთესილია 3 მოსწავლე, ამასთან, ავადმყოფობის მიზეზით სკოლებიდან გასულია 2 მოსწავლე, მათთან ოჯახში მასწავლებლების მუშაობის შესახებ განათლების განყოფილებას საჭირო საბუთები არ მოეპოვება. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილების გარეშე დღის სკოლის VII-VIII კლასების ორი მოსწავლე გადაყვანილია საღამოს სკოლაში. რაიონში განსაკუთრებით ცუდად სრულდება მითითებანი 16-29-წლის იმ მოქალაქეთა აღრიცხვისა და სწავლებაში ჩაბმის შესახებ, რომელთაც სხვადასხვა დროს დაამთავრეს რვა კლასი და სწავლა არ გაუგრძელებიათ.

II მეოთხედის მასალების ანალიზით ირკვევა, რომ რაიონში ხელოვნურად არის გაზრდილი მოსწავლეთა აკადემიური მომზადების მაჩვენებლები, მაგალითად: II მეოთხედში რაიონში რიცხული 7682 მოსწავლიდან შეფასებულია 6882, არ შეფასებულა 259; ვერ ასწრებს 540. ამ ცნობების მიხედვით, II მეოთხედში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება უდრის 89,5%-ს და არა 92, 7%-ს. რაიონში დიდია მოსწავლეების მიერ არასაპატიო ძიზეზით გაცდენილი გაკვეთილების რიცხვი-I მეოთხედში არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 8953 აკადემიური საათი, ეს რიცხვი II მეოთხედში 10,138-მდე გაიზარდა;

1974-1975 სასწავლო წელს 842 რვაკლასდამთავრებული ახალგაზრდიდან სკოლას ჩამოშორდა 18, ხოლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ჩარიცხვის, აგრეთვე საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობის სამუშაოზე მოწყობის შესახებ საჭირო ცნობები განათლების განყოფილებას არ მოეპოვება.

არადამაკმაყოფილებელია VIII და X კლასების მოსწავლეთა დამთავრების პროცენტული მაჩვენებლები. მაგ.: 1966-1967 სასწავლო წელს I კლასში მიღებულ მოსწავლეთა 61% სწავლობს საშუალო სკოლის X კლასში, ხოლო 1968-1969 სასწავლო წელს I კლასში ჩარიცხულთა 80, 7%-VIII კლასში.

არაკვალიფიციურად იწარმოება სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების მასალები და აპარატის ძირითადი დოკუმენტები. სახალხო განათლების საბჭოსა და მეთოდური კაბინეტის სამუშაო გეგმებში არ ჩანს ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემოქმედებითად დაგეგმვის, სკოლების წინაშე მდგარი ახალი პრობლემური საკითხების გადაწყვეტის, ახალგაზრდა მასწავლებლებთან მუშაობის, აგრეთვე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებების განხილვისა და სოფლის სკოლების მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ მიღებული დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების საკითხები. მეთოდური კაბინეტის სექციების მიერ გეგმის მიხედვით არ ტარდება ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, არ ხდება მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება. ამასთან, საჭირო ყურადღება არ ექცევა ფაკულტატიური მეცადინეობის, პროფორიენტაციის, შრომითი აღზრდის, სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და სპორტულ ღონისძიებებს.

არადამაკმაყოფილებელ დახმარებასა და კონტროლს უწევენ მასწავლებლებს განათლების განყოფილების გამგე, ზოგიერთი ინსპექტორი და მეთოდური კაბინეტის მუშაკები. განათლების განყოფილების გამგეს სასწავლო წლის განმავლობაში მოსმენილი აქვს 4 გაკვეთილი, სასკოლო ინსპექტორ ვ. ჟვანიას-7 გაკვეთილი, მათ შორის ისტორიის 5 გაკვეთილი, მეთოდისტ ვ. თულორდავას 12 მოსწავლეს 24-გაკვეთილი, ასევე 25 მასწავლებლის გაკვეთილები მოუსენია მეთოდისტ ლ. კვარაცხელიას; მათი ზოგიერთი ჩანაწერი

მხოლოდ გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვას წარმოადგენს და მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნებისათვის არავითარა მნიშვნელობა არა აქვს. შემოწმების შედეგებზე სკოლებს არ [illegible] საქმიანი დასკვნები, შენიშვნები, მითითებები და რეკომენდაციები.

ძალზე ცუდად მუშაობს პედაგოგიური კაბინეტის ბიბლიოთეკა, მისი წიგნადი ფონდი დაწყობილია ყოველგვარი კლასიფიკაციის გარეშე. ბიბლიოთეკის გამგემ არ იცის, რა სახისა და რაოდენობის მეთოდური ლიტერატურა მოეპოვება ბიბლიოთეკას. ბიოლოგიის მეთოდისტმა ჩვენი იქ მუშაობის დროს გაიგო, რომ 1975 წელს გამოვიდა მეთოდური მითითებანი ბიოლოგიაში და ეს სახელმძღვანელო მიღებული აქვს მეთოდური კაბინეტის ბიბლიოთეკას.

განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებას არ აქცევს მშრომელთა განცხადებებს, საჩივრებს და რეაგირების გარეშე ტოვებს სკოლის მუშაკთა შორის არაჯანსაღი დამოკიდებულების ისეთ შემთხვევებს, რომლებიც სახელს უტეხენ სკოლას, ზიანს აყენებენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მთელ პროცესს. მაგალითად, წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილებამ თავის დროზე არ შეამოწმა წალენჯიხის 1 ელ საშუალო სკოლაში შექმნილი მდგომარეობა, ამასთან, რეაგირების გარეშე დატოვა წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორას შვილის, ნ. ფიფიას განცხადება, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა 1-ელ საშუალო სკოლაში შექმნილი მდგომარეობა.

განყოფილებაში მოუგვარებელია მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვის, შემოწმებისა და საქმიანი ქაღალდების წარმოების საქმე. მაგ. განათლების განყოფილებაში 1975 წლის 18 დეკემბერს (თარიღი გადასწორებულია) მიღებულია ლიის საშუალო სკოლის მასწავლებლის მ. შონიას განცხადება, რომელიც სერიოზულ ბრალდებებს უყენებდა სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და ზოგიერთ სხვა მუშაკს. ამ საკითხის შემოწმების შესახებ განათლების განყოფილებას არავითარი საბუთი არ მოეპოვება, განცხადებას კი 1975 წლის 22 დეკემბრის თარიღით აწერია: „განმცხადებელი დაკმაყოფილებულია". მასწავლებელ ც. ფიფიას 1975 წლის 1-ლი დეკემბრის განცხადებაზე, რომლითაც სამუშაოდან განთავისუფლებას თხოულობდა, აქვს განათლებას განყოფილების გამგის იმავე დღის (1 დეკემბრის) რეზოლუცია „საქმეთა მმართველს, გავათავისუფლოთ", პასუხი 18 დეკემბერს

მიუღია. არის მშრომელთა განცხადებებზე პასუხის დაგვიანებით გაცემის სხვა შემთხვევებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის ზოგიერთ სკოლაში მასწავლებლებად მუშაობენ პირები, რომელთაც არა აქვთ სპეციალური განათლება, მაგ. რუსულ ენას ასწავლიან ეკონომისტი, ბიოლოგი და ისტორიკოსი. წალენჯიხის რაიონში გეოგრაფიის 35 მასწავლებლიდან ისტორიკოსია 2, აგრონომია 1, პოლიტექნიკური ტექნიკუმი აქვს დამთავრებული 1, საშუალო განათლებითაა 1. წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის ზოგიერთ კლასში ისტორიას და თითქმის ყველა კლასში ფიზკულტურას არასპეციალური განათლებას პირები ასწავლიან.

არის შემთხვევები, როდესაც ხელმძღვანელ ორგანოებში სკოლის რიგითი მუშაკები გზავნიან ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება ადგილზე მოგვარდეს ან მათი გადაწყვეტის შესახებ ზემდგომმა ორგანოებმა უნდა იმსჯელონ განათლების განყოფილების მიერ დასაუბებული წარდგინების შემდეგ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ განათლების სამინისტროში მიღებული განცხადება, რომელიც წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლის ლაბორანტის სამუშაოზე დანიშვნას ეხება, აგრეთვე წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის სამხედრო ხელმძღვანელისა და საჩინოს საშუალო სკოლის ინსტრუქტორ-მასწავლებლის მიერ ზემდგომი ორგანოების წინაშე სასწავლო მანქანისა და ტრაქტორის გამოყოფის შესახებ საკითხის დაყენება.

განათლების განყოფილებაში ძალზე ცუდად არის დაყენებული მოწმობებისა და ატესტატების მიღების, აღრიცხვისა და გაცემის საქმე.

წალენჯიხის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლები

განათლების სამინისტროს ბრიგადამ, საჩივრების მიხედვით წალენჯიხის 1-ელ საშუალო სკოლაში შეამოწმა სკოლის დირექტორ ე. მიქავას მუშაობა, აგრეთვე დაწყებითი კლასებისა და თითქმის ყველა ძირითადი სასწავლო დისციპლინის სწავლების მდგომარეობა, ხოლო მე-2 საშუალო სკოლაში-ფიზიკის კაბინეტის ლაბორანტის სამუშაოზე დანიშვნის შესახებ განათლების სამინისტროში მიღებული განცხადება და ზოგიერთი სხვა საკითხი.

როგორც მოგეხსენებათ, განათლების სამინისტროში მიღებულია განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ წალენჯიხს 1-ლი საშუალო

სკოლის მასწავლებლები: ქ. ფიფია (სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორი, ისტორიკოსი, სახალხო კონტროლის კომისიის თავმჯდომარე), გ. ფურთუხია (პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მათემატიკის მასწავლებელი), ც. ბულია (X კლასი) ხელმძღვანელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელის და თ. ლუკავა (ფიზკულტურის მასწავლებელი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრალდებების უმრავლესობა არ დადასტურდა-განცხადების მიხედვით ერთ-ერთი სერიოზული ბრალდება დირექტორის მიმართ იყო სკოლის ეზოს ღობის უნებართვოდ დანგრევა, მისი აღდგენისათვის სახელმწიფო თანხების უკანონოდ ხარჯვა, ამასთან, სკოლის ეზოში უნებართვოდ მრავალწლიანი, მაგარი ჯიშის მცენარეების მოჭრა. ეს ბრალდებები უსაფუძვლო აღმოჩნდა, რადგან წალენჯიხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1974 წლის 22 მარტის № 132 გადაწყვეტილებით გამტკიცებულია წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის მშენებლობა-შეკეთების ხარჯთაღრიცხვა 5975 მანეთის ოდენობით. ამასთან, ბრიგადამ 1976 წლის 20 იანვარს (სკოლის მუშაობის შემოწმების პერიოდში) მიიღო რაიონული საბჭოს აღმასკომის ოფიციალური ცნობა სკოლის ეზოში ხეების მოჭრისა და მათ ნაცვლად ქალაქისათვის რეკომენდებული ჯიშის მცენარეების დარგვის ნებართვის შესახებ. ამასთან, არ დადასტურდა ბრალდებები დირექტორის მიერ გახანგრძლივებული დღის ჯგუფების თვითნებურად დახურვის, დირექტორის უკანონო განკარგულებით 1974-1975 სასწავლო წლის III მეოთხედის ნიშნების შეცვლის, დამლაგებელ ა. კვარაცხელიაზე უკანონოდ ხელფასის გაცემის, ყოველ ორშაბათს მასწავლებელთა თათბირის უსაფუძვლობის, გაცდენილ გაკვეთილებზე შემცვლელი მასწავლებლების დაშვებისა და მასწავლებლების მიერ გაკვეთილებზე დამხმარე ლიტერატურის გამოყენების აკრძალვის, მოსწავლეთა ყოფაქცევის ნიშნების თვითნებურად დაკლების, კინოთეატრებში მოსწავლეთა კოლექტიური სვლის აკრძალვისა და სხვ. შესახებ.

სკოლაში შრომის ორგანიზაციისა და მოსწავლეთა შორის დისციპლინისა და წესრიგის დამყარებისათვის წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორს გამოუყენებია მუშაობის ისეთი მეთოდები, რომელებიც მხოლოდ დასჯისა და ადმინისტრაციული ზემოქმედების საშუალებებს წარმოადგენენ, რასაც, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოუწვევია დაჯგუფებები პედაგოგიურ კოლექტივში და გარკვეული

გავლენა მოუხდენია სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე. როგორცირ კვევა, დირექტორს, სასკოლო ორგანიზაციებისა და უმრავლესი დიდი მუშაკების გვერდის ავლით, წინასწარ, პედაგოგიური კოლექტივის ანალიზის გარეშე, ერთპიროვნულად გადაუწყვეტია ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომლებიც შემდეგ სადავო გამხდარა, ზოგიერთ მუშაკთან დაპირისპირება გამოუწვევია, პედაგოგიურ კოლექტივში მითქმა-მოთქმისა და ურთიერთშეურაცხყოფის მიზეზი გამხდარა. აღნიშნულთან ერთად, დირექტორს ბრალად ედება:

ა) მან 1974-1975 სასწავლო წელს დაარღვია საფინანსო დისციპლინა-ბანკის ოპერაციების გარეშე, არადანიშნულებით გამოიყენა მოსწავლეების მიერ გამომუშავებული 436 მანეთი;

ბ) არ შეასრულა სსრ კავშირის განათლების მინისტრის ამხ. ა. პროკოფიევის ბრძანება და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 26 მაისის წერილი სკოლებში ფულის შეგროვების აკრძალვის შესახებ. მ ნ, ოლიმპიადებში სკოლის მონაწილეობის მისაღებად, მოსწავლების მომზადებისათვის მოიწვია მუშაკები და მათი ხელფასისათვის მასწავლებლებსა და მოსწავლეთა მშობლებში შეაგროვა 858 მანეთი და გასცა მოწვეულ მასწავლებლებზე;

გ) გუნდის ხელმძღვანელობა (ნახევარი განაკვეთი) შეუთავსა პიონერხელმძღვანელ მ. ქუხილავას, ხოლო ქორეოგრაფიული წრე გადასცა არასპეციალისტს, სახვითი ხელოვნების მასწავლებელ ა. ქარჩავას;

დ) 1974-1975 სასწავლო წელს საპატიო მიზეზით გაცდენილი გაკვეთილების ხელფასი დაუკავა მასწავლებლებს ქ. ფიფიასა და გ. ფურთუხიას;

ე) არასწორად დაკომპლექტდა IX კლასები. ერთ IX კლასში ირიცხებოდა 37 მოსწავლე (უკბოური ენა—გერმანული), მეორეში-13 (ისწავლებოდა ინგლისური ენა). სკოლის დირექციას განათლების განყოფილებისათვის რომ ეცნობებინა 13 მოსწავლის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასში ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ (სწავლების ენა ინგლისური), სკოლის დაკომპლექტების საკითხი სადავო აღარ გახდებოდა;

ვ) იგი ხშირად სჯიდა მასწავლებლებს, რითაც სკოლის ზოგიერთ მუშაკთან ამწვავებდა ურთიერთობას, ხელოვნურად იქმნებოდა უკმაყოფილების მიზეზები. მან 1974 წლის 1-ელ თებერვალს (მის მიერ ამ სკოლაში მუშაობის დაწყებიდან დაახლოებით

ერთი თვის შემდეგ) „მასწავლებელთა ქცევის ნორმების დარღვევისათვის“ საყვედური გამოუცხადა პარტიული ორგანიზაციის მდივანს, მათემატიკის მასწავლებელ გ. ფურთუხიას; 1974 წლის 19 თებერვალს გაკვეთილებზე პარალელური კლასების შეერთების ცდისათვის დასაჯა ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი ქ. ფიფია; 1974 წლის 19 მარტს მიუთითა სამხედრო ხელმძღვანელ მ. შელიას იმის გამო, რომ მან დირექტორს არ აცნობა სპორტსკოლის მიერ ქ. წალენჯიხის 1-ელ საშუალო სკოლაში სპარტაკიადის ჩატარების შესახებ. ამავე ბრძანებით მკაცრად არის დისჯილი X კლასის სამი მოსწავლე. ამ დოკუმენტის მე-5 მუხლში ეკითხულობთ: „ეს ბრძანება განხილულ იქნეს ყველა კლასში“. არ შეიძლება კანონიერ ღონისძიებად მივიჩნიოთ ის, რომ მოსწავლეებისა და მასწავლებლის რაიმე დანაშაულის შესახებ კლასების მიხედვით იმსჯელოს სკოლის ყველა მოსწავლემ. საყურადღებოა ისიც, რომ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ქ. ფიფიას, გ. ფურთუხიას, ც. ბულიას, თ. ლუკავას და მ. შელიას დასჯის შესახებ სკოლის ბრძანების წიგნში რეგისტრირებულია 12 შემთხვევა, ასევე, მათ შესახებ ხშირად ყოფილა მსჯელობა პედაგოგიური საბჭოს სხდომებზედაც. მართალია, დასახელებული მასწავლებლებისა და სკოლის ზოგიერთი სხვა მუშაკის დასჯა შეიძლება ზოგჯერ აუცილებლობით იყოს გამოწვეული, მაგრამ ერთი და იგივე მუშაკებთან დაპირისპირება, დაუმთავრებელი დავა არაპედაგოგიურია და დირექტორის უტაქტობაზე მიუნიშნებს.

განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. მ. დევდარიანმა) 1975 წლის ივლისში შეამოწმა ქ. წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორის შესახებ სამინისტროში მიღებული განცხადება, სკოლაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ აცნობა პარტიის წალენჯიხის რაიკომს, ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, წალენჯიხის რაიონის განათლებისა და წალენჯიხის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების მუშაობის კომპლექსური შემოწმება შეტანილ იქნა სკოლების სამმართველოს 1975-1976 სასწავლო წლის III კვარტლის სამუშაო გეგმაში.

სკოლების სამმართველოს პირველი შემოწმების მასალების მიხედვით, წალენჯიხის საშუალო სკოლაში ნორმალური პირობების შესაქმნელად რაიონის ხელმძღვანელობას შეუცვლია პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ფურთუხია და იგი გადაუყვანია წალენჯიხის

მე-2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად. ამ სკოლის ორგანიზატორი ქ. ფიფია დანიშნულია წალენჯიხის საქალაქო სკოლის დირექტორად; სამუშაოდ ზღვაიას საშუალო სკოლაში არ იგზავნება ყვანილი წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ც. ბულია. 1-ლი სკოლიდან განთავისუფლებულია თ. ლუკავა, რომელიც ამ სკოლაში შეთავსებით ფიზკულტურას ასწავლიდა.

1975 წლის ოქტომბერში განათლების სამინისტროში მიღებულია წალენჯიხის რაიონის სოფ. ორჯონიკიძეში მცხოვრებ ნონა მეგონას ასულ ფიფიას განცხადება, რომელიც ეხებოდა წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლის ფიზიკის ლაბორანტის მუშაობას. იგი განსახილველად და ზომების მისაღებად წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილებაში გადაუგზავნიათ. იმის გამო, რომ განათლების განყოფილებამ განცხადების ავტორს პასუხი არ აცნობა, ნ. ფიფიამ 1975 წლის დეკემბერში განმეორებით მომართა განათლების სამინისტროს.

შინაარსის მიხედვით, განცხადების ავტორს, ნ. ფიფიას თითქოს ის აინტერესებს, შეუძლია თუ არა ქ. წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლის ლაბორანტს, ანგელინა ვახტანგის ასულ ხარჩილავას ფიზიკის ლაბორანტად მუშაობა. სპეციალისტების დასკვნით, ა. ხარჩილავას ფიზიკის ლაბორანტად დატოვება შეიძლება, თუ იგი უახლოეს დროში გაიგზავნება კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე.

1976 წლის 20 იანვარს ლაბორანტის შესახებ მიღებული განცხადების ავტორმა, ნ. ფიფიამ განათლების სამინისტროს ბრიგადას გადმოსცა ნუნუ კოხონის ასულ ესვანჯიას განცხადება. ნ. ესვანჯიას განცხადების ერთი აბზაცი ასეთია: „შეთავსებით ვმუშაობ ქალაქის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამავე სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელად მუშაობს ქალი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ჩემი ოჯახური ტრაგედია. გასული წლის 20 მაისს მოულოდნელად გარდამეცვალა მეუღლე, წალენჯიხის მეორე საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი. პიონერხელმძღვანელთან ჩემი მუშაობა ავადმყოფობის ფასად მიჯდება“ და ა. შ. (ტექსტი დაცულია). იგი ამჟამადაც ავად არის.

როგორც შემოწმებით გამოირკვა, განათლების სამინისტროში შემოტანილი პირველი განცხადების ავტორი ნ. ფიფია მოხსენებით

ბარათში წარმოდგენილი მეორე განცხადების ავტორის, ნ. ესვანჯიას შვილია. ცნობილია გახდა ისიც, რომ 1-ლი საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი მ. ქუხილავა მეორე საშუალო სკოლის ფიზიკის ლაბორანტის, ა. ხარჩილავას ახლობელია და მის ოჯახში ცხოვრობს.

წალენჯიხის 1-ელ საშუალო სკოლაში უფროსი პიონერხელმძღვანელის, მ. ქუხილავას და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ნ. ესვანჯიას ერთად მუშაობა შეუძლებელია, რადგან ნ. ესვანჯია მეუღლის სიცოცხლის დროს მასთან ოჯახური უკმაყოფილებისა და მისი მეუღლის მოულოდნელად გარდაცვლების მიზეზიდაც კი მ. ქუხილავას თვლის.

მ. ქუხილავასა და ნ. ესვანჯიას შორის ასეთი დამოკიდებულება ცნობილია 1-ლი საშუალო სკოლის ყველა მუშაკის, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის. ეჭვს არ ბადებს, რომ მათი ასეთი დამოკიდებულება (ურთიერთის შეურაცხყოფა, ზოგჯერ ლანძღვა) ცუდად მოქმედებს სკოლის ნორმალურ მუშაობაზე.

პარტიისა და კომკავშირის რაიკომის მდივნებთან შეთანხმებით შევეცადეთ 1-ლი საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი მ. ქუხილავა გადაგვეყვანა სხვა სკოლაში, რომ ამით შექმნილიყო მასწავლებელთა კოლეგიური მუშაობის უკეთესი პირობები. ამისათვის ვთხოვეთ წალენჯიხის სკოლა-ინტერნატის დირექტორს, რათა მოეცა თანხმობა ინტერნატის პიონერხელმძღვანელის სამუშაოდ 1-ელ საშუალო სკოლაში გადაყვანისა და მის ადგილზე 1-ლი სკოლის პიონერხელმძღვანელად მ. ქუხილავას დანიშვნაზე. მან ჩვენი თხოვნა დააკმაყოფილა. ამ ცვლილებებზე, დიდი თხოვნის შემდეგ, შევითანხმეთ აგრეთვე სკოლა-ინტერნატის პიონერხელმძღვანელი და საქმეც მოგვარებულად მიგვაჩნდა, რადგან გვწამდა, რომ მ. ქუხილავა პიონერხელმძღვანელად სიამოვნებით წავიდოდა სკოლა-ინტერნატში და აიცდენდა ყოველდღიურ უსიამოვნებას. აღმოვჩნდით მოულოდნელობის წინაშე, მ. ქუხილავამ უარი განაცხადა სხვა სკოლაში გადასვლაზე, იგი განერვიულდა და კომკავშირის რაიკომის 1-ელ მდივანთან ერთად რაიკომიდან გავიდა. დარწმუნებული ვიყავით, რომ კომკავშირის რაიკომი მას შეითანხმებდა და მ. ქუხილავას განცხადებას 1-ლი სკოლიდან გადაყვანის შესახებ მივიღებდით; დაახლოებით 20-30 წუთის შემდეგ გავიგეთ, რომ მ. ქუხილავა სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში წაუყვანიათ, ჩვენი წალენჯიხის რაიონში მუშაობის პერიოდში ეს საკითხი საბოლოოდ ვერ გადაწყდა და მოველოდით, რომ

განათლების განყოფილება მ. ქუხილავას გადაიყვანდა ამ სკოლიდან, მაგრამ განათლების განყოფილებამ ეს დაპირება დღემდე არ შეასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ქუხილავას, რამდენიმე დღის წინ, შემთხვევით შევხვდით განათლების სამინისტროში. მან აღგვითქვა, რომ იგი შეუთანხმდებოდა ოჯახის წევრებს და განათლების სამინისტროში მოიტანდა განცხადებას სხვა სკოლაში სამუშაოდ გადასვლის შესახებ მან ეს დაპირებაც არ შეასრულა.

წალენჯიხის 1-ელ და მე-2 საშუალო სკოლებში ზოგიერთი საგნის სწავლების შემოწმებით გამოირკვა, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი კარგად ერკვევა სასწავლო მასალის იმ საკითხებში, რომლებიც ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან არის დაკავშირებული და სიახლეების ძიებას საჭიროებენ. ისინი, სკოლაში ენერგიულ მუშაობასთან ერთად, გეგმაზომიერად იმაღლებენ იდეურ-პოლატიკური და პედაგოგიურ-მეთოდური ცოდნის დონეს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თანამედროვე ეტაპზე სკოლის პრობლემური საკითხების გადაჭრის საქმეს.

კარგად მუშაობს წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის III კლასის მასწავლებელი ზ. შენგელია. მან მათემატიკის გაკვეთილი დამოუკიდებელი მუშაობით დაიწყო, კლასის აქტიური მონაწილეობით ამოხსნა ამოცანა, ჩაატარა მუშაობა გეომეტრიულ მასალაზე და მოსწავლეების მონაწილეობით გამოანგარიშებულ იქნა მართკუთხედის პერიმეტრი, მოსწავლეებს მისცა გაზომვის პრაქტიკული ჩვევა.

ქართულ ენას V კლასში კარგად ასწავლის წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი ბ. ქუჩულორია. იგი საკმაოდ დახელოვნებულია მეთოდურად, აკადემიურად მომზადებულია და გრამატიკის გაკვეთილებს ორგანიზაციულ-მეთოდური თვალსაზრისით სწორად და გააზრებულად წარმართავს მეცადინეობის პროცესში იყენებს თვალსაჩინოებას, ბავშვებიც მასიურად ჰყავს დასაქმებული და ენობრივ ვარჯიშსაც საკმაო დროსა და ადგილს უთმობს ასევე კარგად იციან პროგრამის მასალა ამ სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა ქართულ ლიტერატურაში (მასწავლებელი ა. გულუა).

წერის ნორმებს ასრულებენ, მოსწავლეების ნამუშევრებს ყურადღებით ასწორებენ და შეცდომების გასწორებაზე ბავშვებს სისტემატურად ავარჯიშებენ ქ. წალენჯიხის მე-2, საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ლ. ქარდავა, ჟ. კვარაცხელია,

თ. კვარაცხელია და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულ ენასა და ლიტერატურას შედარებით უკვთესად ასწავლიან მასწავლებლები ს. ცინცაძე, ფ. თვალავაძე და ბ. ქუჩულორია (ქ. წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლა), ნ. კვარაცხელია (ქ. წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლა).

ფიზიკას კარგად ასწავლის წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი ჯ. ცანავა. მან გაკვეთილი „სინათლის დისპერსია" მოსწავლეებს გადასცა გასაგები ენით, ამასთან, ააგო ნახაზი და მიცემული მასალა განამტკიცა კითხვების დასმითა და თვისობრივი ამოცანების ამოხსნით.

დამაკმაყოფილებლად ასწავლის მათემატიკას წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი გ. ქოქოსაძე. მან VII კლასში გეომეტრიის გაკვეთილზე მუშაობაში ჩააბა მთელი კლასი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კრებულიდან სავარჯიშო მასალებზე მუშაობას, ამოცანების ამოხსნას.

ქ. წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლები ნ. ქუჩულორია (ქართულ სექტორზე) და ე. შერიშოვა (რუსულ სექტორზე) სისტემატურად იმაღლებენ თეორიული მომზადების დონეს, გაკვეთილებზე იყენებენ დამატებით ლიტერატურას, XXIV ყრილობის მასალებს, პერიოდულ პრესას.

დაწყებით სამხედრო მომზადებასა და სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას სათანადო ყურადღება ექცევა ქ. წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. კვარაცხელია, სამხედრო ხელმძღვანელი ს. ზარქუა). სკოლას აქვს სამხედრო მომზადებისა და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის წლიური გეგმები. ამასთან, დგება დაწყებითი სამხედრო მომზადებში კვირეული გეგმა და ზუსტად სრულდება იგი. სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში ქიმიკოს-დოზიმეტრისტის პროფილია შემოღებული, რომელსაც სამხედრო საქმის ხელმძღვანელი ს. ზარქუა ატარებს. სრულ წესრიგშია სამხედრო კაბინეტი და სასწავლო იარაღების შესანახი ოთახი. სამხედრო მომზადებასა და სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა მომზადების დონე.

კარგად ტარდება ფიზიკური კულტურისა და სპორტული მომზადების გაკვეთილები ქ. წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლაში. ამ საგნის მასწავლებლები გ. გოგუა, გ. მებონია და ს. ზარქუა, მიუხედავად იმისა, რომ სპორტული დარბაზი შეუვსებელია სპორტული

ინვენტარით (აკლიათ ტანვარჯიშული იარაღები), გაკვეთილებს მეთ-
ოდურად მაღალ დონეზე ატარებენ, მასწავლებლებს აქვთ საპრო-
გრამო მასალის თემატურად განაწილების გეგმა-გრაფიკები
კლასის მიხედვით. თვალსაჩინო ადგილზე აქვთ გარკული ფიზკულ-
ტურის აგიტაციისათვის საჭირო თვალსაჩინოება (კედლის გაზეთი,
ფოტოსტენდი, მშთ-ს ნორმატივების პლაკატები და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად მუშაობს წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლის ბიბლიო-
თეკის გამგე ე. გოგინავა, რომელსაც აქვს სპეციალური განათლება
და მუშაობის კარგი გამოცდილება, იგი ატარებს მკითხველთა კონ-
ფერენციებს, ადგენს ალბომებს, აწყობს გამოფენებს და სხვ.

მიუხედავად აღნიშნულისა, მასწავლებელთა მუშაობის შემოწმე-
ბის პროცესში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი: ზოგიერთი
მასწავლებელი ანალიზს არ უკეთებს ახალ სასწავლო პროგრამებსა
და სახელმძღვანელოებს, საქმიან კავშირს არ ამყარებს სამეცნიერო-
კვლევით ინსტიტუტებთან და არ ეცნობა მეცნიერების უახლეს მი-
ღწევებს, რომლებიც თავიანთი სპეციალობის მიხედვით სასკოლო
კურსთან არის დაკავშირებული, არ ზრუნავს სრულყოფილი სასწავლო
კაბინეტების შექმნისა და სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გა-
მოყენებისათვის, არ ატარებს საინტერესო ცდებს ექსპერიმენტებსა
და კვლევითი ხასიათის სამუშაოებს. ასე. მაგალითად, დაწყებითი
კლასის მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი ნაკლებად ზრუნავს თავი-
სი პედაგოგიური ცოდნის დონის ამაღლებისათვის, არ იცნობს ახალ
პროგრამებს, არ არის დაუფლებული და ვერ ერკვევა სწავლების
ახალ მეთოდებსა და ხერხებში, იშვიათად იყენებს თვალსაჩინოებას,
ტექნიკურ საშუალებებს, ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა მეტყ-
ველებას, აზროვნების განვითარებას. მათ მუშაობაში არსებული ნაკ-
ლოვანებანი იმითაც არის გაპირობებული, რომ სკოლის ხელმძღვა-
ნელობა სათანადო კონტროლს არ ახორციელებს მათ მუშაობაზე.
ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ქ. წა-
ლენჯიხის 1-ელ საშუალო სკოლაში დაწყებით კლასებში არცერთი
საგნის სწავლება არ შემოწმებულა და არ გამხდარა იგი პედაგოგი-
ური საბჭოს მსჯელობის საგნად.

ამასთან ერთად, სუსტია დაწყებითი კლასების მასწავლებელთა
მუშაობაზე განათლების განყოფილებისა და მეთოდური კაბინეტის
კონტროლი და ხელმძღვანელობა. მიმდინარე სასწავლო წელს სახალ-
ხო განათლების საბჭოს სხდომაზე დაწყებითი კლასების მუშაობის

საკითხი 4-ჯერ არის განხილული, მაგრამ, როგორც არსებული მასალების გაცნობით დადასტურდა, ზერელედ არის შესწავლილი და არ ასახავს დაწყებითი კლასების მუშაობის ნათელ სურათს. [illegible] საქმიანობის ავ-კარგს.

დაწყებით კლასებს ხელმძღვანელობს მეთოდისტი ლ. კვარაცხელია, რომელსაც დამთავრებული აქვს ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი. იგი, თავისი სპეციალობის მიხედვით დახელოვნების ნაცვლად, 1-ელ საშუალო სკოლაში ისტორიას ასწავლის.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის მოსამზადებელი კლასის მასწავლებლის პ. კალანდიას მუშაობა. იგი არ ატარებს დიდაქტიკურ თამაშობებს, ხოლო წვრა-კითხვის სწავლების პროცესში ნაკლებად მუშაობს სიტყვათა და წინადადებათა სწორად, მკაფიოდ წარმოთქმაზე, მეტყველების განვითარებაზე, დიდ დროს უთმობს სიტყვათა მნიშვნელობის განმარტებაზე ვარჯიშს. ასე მაგალითად, -„რა არის ცხენი, თივა, ცული, ციცინათელა? რისთვის გვინდა თივა, რას ჭრიან ცულით, რას აკეთებენ ცულით?“ და სხვა. ამ სკოლის მოსამზადებელ კლასში ნაცვლად 35 წუთისა, 45 წუთიანი გაკვეთილები, ტარდება. დანიშნულების მიხედვით არ არის გამოყენებული გეგმით გათვალისწინებული 3 კვირეული საათი, რომელიც ეთმობა ექსკურსიებს, ბუნებაზე დაკვირვებასა და ყოფითი ესთეტიკის საკითხებს. ამ საათების ხარჯზე ქართულ ენას, ნაცვლად 8 საათისა, დათმობილი აქვს 9 საათი, მათემატიკას, 5 საათის ნაცვლად, 6 საათი და ფიზიკურ აღზრდას 3 საათი ეთმობა, ნაცვლად 2 საათისა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს 1-ლი კლასის მასწავლებელი კ. ჩალიგავა. გაკვეთილზე იგი საკმაოდ დიდ დროს უთმობს ერთფეროვან მასალაზე (გამრავლების ტაბულა) ვარჯიშს. გაკვეთილზე მან გვერდი აუარა ამოცანის შედგენასა და ამოხსნაზე ვარჯიშს, გეომეტრიულ მასალას, ხოლო ახალი მასალის ახსნის პროცესში თვით მასწავლებელი იყო აქტიური. უფრო მეტი, კლასის წინაშე დასმულ შეკითხვებზე მასწავლებელი თვითონვე პასუხობდა, არ აძლევდა მოსწავლეებს მოფიქრების საშუალებას. ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობს II კლასის მასწავლებელი შ. დარასელია.

არაობიექტურად არის გასწორებული მოსწავლეთა საკლასო და საკონტროლო წერითი ნამუშევრები (მასწავლებლები კ. ჩალიგავა და

შ. დარასელია). დაცული არ არის წერის ნორმები მათემატიკაში. მაგ. მასწავლებელ კ. ჩალიგავას II კლასში, ნაცვლად ოთხისა, ჩატარებული აქვს მხოლოდ ერთი საკონტროლო წერა, მასწავლებელი შ. დარასელიას მიერ II კლასის ნამუშევრებში გაუსწორებელია შეცდომები. მაგ. თ. გ-ს მიერ 18 დეკემბერს შესრულებული სამუშაო ასე გამოიყურება:

„გავცეთ წერილობით კითხვებზე პასუხი".

„მელა და კურდღელი არიან ტყეში, კურდღელი ეფარება ხეს, მელა არ ხედავს, მას პირდაღებული მელა მიიჩქარის კურდღლისაკენ."

ნაწერში მასწავლებელს თითქმის ვერც ერთი შეცდომა ვერ შეუნიშნავს, ნამუშევარი „4"-ზე შეფასებია. მასწავლებელი შ. დარასელია ქართულ ენაში მოსწავლეთა ნამუშევრებს არ აფასებს. ამასთან, მას ქართულ ენასა და სუფთა წერაში მთელ რიგ დღეებში ერთი და იგივე წერითი დავალება აქვს მიცემული.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა გარკვეული ნიწილი საგანს არადამაკმაყოფილებლად ასწავლის და მეტ დახმარებას საჭიროებს. მაგ.: მეთოდური დახელოვნება აკლია წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელ ზ. ქაჯაიას. იგი გაკვეთილის თემით განსაზღვრულ მასალას ბუნებრივად ვერ უკავშირებს მოსწავლეთა ანტირელიგიურ, ათეისტურ აღზრდას და კმაყოფილდება მშრალი განმარტებით, რომ ძველად რელიგია ცუდ გავლენას ახდენდა ხალხზე. კლასში მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი კითხულობს ჩათვლით, ჩამარცვლით, რის გამოც კითხვის ტექნიკა სრულიად არ შეეფერება IV კლასის მომზადების დონეს.

მასწავლებელ ვ. ყალიჩავას IV კლასის მოსწავლეები დასმულ კითხვებზე იძლევიან განმარტებებს, მ გრამ გაზეპირებული წესების მიხედვით შესწავლილ ტექტსთან დაკავშირებულ საკითხებში ძნელად ერკვევიან. ზოგიერთ ცნებაში თვით მასწავლებელი ძნელად ერკვევა, მაგალითად, სასულიერო სემინარია განმარტა, როგორც საკვლევი-სამეცნიერო დაწესებულება.

VIII კლასში, ქართულა ლიტერატურის გაკვეთილზე (მასწავებელი ე. კვარაცხელია), „ავთანდილის გაპარვა და ტარიელთან შეყრა" მუშაობის დროს გამორკვა, რომ მოსწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილი პასიურობს და მონაწილეობას არ ღებულობს მუშაობაში, ისინი სუსტად და თითქმის სრულად ვერ ერკვევიან შესწავლილ

საკითხებში. ბავშვებმა ვერ განმარტეს, ტექსტში რისტევანი ცოდა, შემთხვევაში თინათინს რატომ უწოდებდა ასულს და მეორე შემთხვევაში-ძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი არ ასწორებს საშინაო დავალების ჩვეულებრივ მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრები სავსეა შეცდომებით რაც. თავის მხრივ, იწვევს შეცდომების ჩვევაში გადასვლას.

საკონტროლო წერის ნორმებს ვერ ასრულებენ მასწავლებლები ვ. ყალიჩავა, მ. ჯანაშია და ა. გულუა. ამასთან, საკმაო ყურადღებით არ არის გასწორებული წერითი ნამუშევრები-საკმაო რაოდენობით აღინიშნება შეუნიშნავი და გაუსწორებლად დატოვებული შეცდომები

წერის ნორმებს არ იცავს ქ. წალენჯიხის მე-3 სკოლის მასწავლებელი ვ. გოგია V-VI კლასებში. მას ნოემბერში არცერთი წერა არ ჩაუტარებია. მასწავლებელს V კლასის მოსწავლის ღ. ჩ-ს ნამუშევარში-„უმცროსის“ შინაარსი, რომელიც 11 სტრიქონს შეიცავდა, გაუსწორებელი დაუტოვებია 13 შეცდომა. ასევე ცუდად არის გასწორებული VI კლასის მოსწავლეების ნაწერებიც.

წალენჯიხის 1-ელ საშუალო სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან მასწავლებლები ლ. გურგენიძე და გ. გოგოხია, რომლებიც როგორც საუბრის, ისე გაკვეთილების ჩატარების პროცესში უშვებენ უხეშ შეცდომებს, გაკვეთილებს მოუმზადებლად ატარებენ, არ იყენებენ თვალსაჩინოებას და ტექნიკურ საშუალებებს. ასინი, რუსულ ენაში მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების განვითარების მიზნით, ატარებენ მუშაობას, მაგრამ ერთფეროვნად. ყველა კლასში საუბრობენ ამინდზე, ზამთარაზე ან თემებზე: „ჩვენი კლასი“, „ჩვენა სკოლა“, «ჩემი ოჯახი“ და სხვ. გაკვეთილებზე არ ტარდება ლექსიკურ მასალაზე მუშაობა; იმის გამო, რომ მოსწავლეები ნაკლებად მუშაობენ წიგნზე, არა აქვთ გამომუშავებული სწორი, სხარტი კითხვისა და წინადადებების სწორად გამოთქმის ჩვევები. სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეებთან რუსულ ენაზე აღმზრდელობითი მნიშვნელობის საუბრების ჩატარებას, დარღვეულია საკლასო და საშინაო წერის ნორმები, ერთფეროვანია წერის სახეები, გულდასმით არ სწორდება საკონტროლო წერითი ნამუშევრები.

ერთფეროვანი და ღარიბია მხატვრული კითხვის წრის სამუშაო გეგმა (მასწავლებელი თ. თვალთვაძე), მასში შეტანილია მხოლოდ ლექსებისა და იგავ-არაკების კითხვა. ლიტერატურის წრის სამუშაო

გეგმების შედგენის დროს გათვალისწინებული არ არის მოსწავლეების მომზადების დონე და ცოდნა. მაგ: გეგმაში შეტანილია მ. ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ განხილვა, „პუშკინი და დეკაბრისტები“, მ. გორკის პიესა „მდაბიონი“ და სხვა. ამ თემებზე მუშაობას მათი მოსწავლეები, ვფიქრობთ, ვერ შეძლებენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წრის ხელმძღვანელი გ. გოგიხია დამწყები მასწავლებელია და უძნელდება მისი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა.

რუსულ ენას ქ. წალენჯიხის მე-2 სკოლაში ასწავლიან ახალგაზრდა დამწყები მასწავლებლები თ. შელია და ქ. ფიფია. რუსული ენის საფუძვლიანად დაუფლებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის მათ დიდი მუშაობა სჭირდებათ. სკოლის დირექციამ, რომელიც გარკვეულ დახმარებას უწევს ახალგაზრდა მასწავლებლებს, კვლავაც უნდა იზრუნოს მათი პედაგოგიური დახელოვნებისათვის.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის VIII კლასში. მასწავლებელი ფანცულაია გაკვეთილზე-„ჩახაზული ოთხკუთხედი“ მუშაობის დროს გადავიდა ძველი მასალის ისეთი თემების გამეორებაზე, რომელთაც ახალი მასალის ათვისებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა; ახალი გაკვეთილი-„შემოხაზული ოთხკუთხედი“ ახსნა ისე, რომ მოსწავლეებს მასში მონაწილეობა არ მიუღიათ და მხოლოდ მსმენელების როლში გამოდიოდნენ. მასწავლებელი არ იცავს საკონტროლო წერის ნორმებს VII კლასში, ხოლო VIII-IX კლასების მოსწავლეთა საკონტროლო წრის რვეულები სკოლაში არ აღმოჩნდა.

სუსტად ჩატარდა მათემატიკის გაკვეთილი V კლასში, სადაც მოსწავლებელმა ვ. კვარაცხელიამ კლასისათვის მიცემული ღავალების— „მარტივი და შედგენილი რიცხვების“ გამოკითხვა უინტერესოდ ჩაატარა. ახალ მასალაზე-„როგორ დავშალოთ რიცხვი მარტივ მამრავლებად“ მუშაობის დროს მოსწავლეები ვერ იყენებდნენ გაყოფადობის წესებს.

ამავე მასწავლებლის კლასში ჩატარდა საკონტროლო წერა. 21 მოსწავლიდან ნიშანი „5„ და „4„ არცერთს არ მიუღია, ხოლო ნიშანი „3„ მხოლოდ 2 მოსწავლეს დაეწერა. საკონტროლო წერის ასეთი შედეგებით ადვილი წარმოსადგენია, როგორ მუშაობს მასწავლებელი და როგორ იწერება მეოთხედური და წლიური ნიშნები ამ საგანში.

ამ სკოლაში არ არის მათემატიკის კაბინეტი და სწავლებაში არ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს, ხოლო მეთოდური და წრეობრივი

მუშაობა ნორმალურ ხასიათს არ ატარებს. არადამაკმაყოფილებელია სკოლის ადმინისტრაციის მზრუნველობა და დახმარება ამ საგნის მასწავლებელთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ფიზიკას წალენჯიხის მე-6, მე-8 და მე-10 კლასებში ასწავლის ს. ფიფია. მას X კლასში უნდა შეემოწმებინა მოსწავლეებისათვის მოცემული დავალების-„სფერული სარკის ფორმულის" შესრულება, თუმცა ამ მასალასთან დაკავშირებით ამოცანის ამოხსნა მოსწავლეებისათვის არ დაუვალებია. გაკვეთილის პროცესში გამოვლინდა, რომ არცერთმა მოსწავლემ არ იცოდა განათებულობის კანონი, სინათლის ძალა, სივრცითი კუთხე, აგრეთვე როგორი ტალღაა სინათლე და სხვ. მასწავლებელმა ახალი გაკვეთილი—„ვამოსახულებათა აგება სფერულ სარკეებში" ახსნა ყოველგვარი ცდისა და ტექნიკური საშუალების გამოყენების გარეშე. არაზუსტად ააგო ნახაზი, არ ამოხსნა ამოცანა. გაკვეთილი უინტერესოდ ჩატარდა, მოსწავლეებმა ახალი მასალა ვერ გაიგეს.

ასევე ცუდად ჩატარდა გაკვეთილი VIII კლასში. მასწავლებელმა ს. ფიფიამ ახალი გაკვეთილის-„მსოფლიო მიზიდულობის მუდმივა" ახსნის დროს სახელმძღვანელოს მიხედვით ნახაზ-112-ის აგებაც კი არ ჩათვალა საჭიროდ და ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე ჩატარებულმა გაკვეთილმა, განსაკუთრებით ასეთ მასალაზე მუშაობის დროს, მეტად ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. მასწავლებელმა არ ამოხსნა ამოცანა, საშინაო დავალებაც მოსწავლეებს ამოცანის გარეშე მისცა.

მოსწავლეების საკლასო და საშინაო რვეულების შემოწმებით გამოირკვა, რომ მასწავლებელი ამოცანების ამოხსნაზე კლასს იშვიათად ამუშავებს. მოუწყობელია ფიზიკის კაბინეტი. აქ მოყვანილი არ არის დენის წყარო, ცუდად არის მოწყობილი დაბნელება. არა აქვთ სადემონსტრაციო მაგიდები და საჭირო ხელსაწყოების მინიმუმიც კი. პროგრამით გათვალისწინებული ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოებიდან ამ სკოლის მე-6 და მე-8 კლასებში არცერთი არაა ჩატარებული, ხოლო X კლასში კი ჩატარებულია მხოლოდ ერთი.

წალენჯიხის საშუალო სკოლაში ისტორიას სკოლის დირექტორი ვ. მიქავა და განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი ვ. ჟვანია ასწავლიან. დაბალ კლასებში ამ საგნის მასწავლებელია ლ.

კვარაცხელია. მას არა აქვს სპეციალური განთლება და ისტორიას ამ სკოლაში, როგორც განმარტავენ, დროებით შეთავსებით ასწავლის.

3. მიქავა დამაკმაყოფილებლად ასწავლის ისტორიას, „ძალიან უკეთეს შედეგებს მიაღწიოს; ნაკლოვანებანი, რომელიც გაკვეთილის ჩატარების დროს გააჩნდა, ჩვენი აზრით, იმით არის გამოწვეული, რომ იგი დაახლოებით 25 წლის განმავლობაში მოწყვეტილი იყო პედაგოგიურ მუშაობას.

სკოლაში არ არის ისტორიის კაბინეტი და სწავლების ტექნიკური საშუალებები, თვალსაჩინოებისათვის საჭირო რუკები. ის, რაც სკოლას მოეპოვება, მინიმალურად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ისტორიის მასწავლებელთა მეთოდური დახელოვნებისათვის არ ტარდება არავითარი ღონისძიება. ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის წრის შექმნასა და მოსწავლეებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაზე არავის უფიქრია.

ბიოლოგიის სწავლებისათვის არადამაკმაყოფილებელი პირობებია შექმნილი წალენჯიხის 1-ელ საშ სკოლაში. ამ საგნის მასწავლებელს ა. ჭანტურიას, რომელსაც უმაღლესი სპეციალური განათლება აქვს, შეუძლია ბიოლოგიის სწავლებისათვის შექმნას საჭირო მატერიალური ბაზა, აამაღლოს მოსწავლეთა მომზადების დონე, მოამზადოს პირობები მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და საცდელი—პრაქტიკული მუშაობისათვის.

V-VIII კლასებში გაკვეთილებისა და მოსწავლეთა მომზადების დონის შემოწმებით გამოირკვა, რომ მასწავლებელი ა. ჭანტურია წინასწარ არ ამზადებს თვალსაჩინოებისთვის საჭირო ტაბულებს, სქემებსა და სურათებს. გაკვეთილებზე არ „ამახვილებს ყურადღებას ბიოლოგიურ ტერმინებსა და სალექსიკონო მასალაზე, მუშაობაში არ აბამს იმ მოსწავლეებს, რომლებიც საფუძვლიანად ვერ ერკვევიან პროგრამული მასალის ძირითად საკითხებში და სხვ. ვფიქრობთ, ეს არის იმის ძირითადი მიზეზი, რომ VIII კლასში გაკვეთილზე-„დაავადებანი, რომლებიც ჰაერით გადადიან“ კარგმა მოსწავლეებმაც ვერ განმარტეს, რომ ტუბერკულოზი და ზოგიერთი სხვა დაავადებანი მცენარეული წარმოშობის მიკროსკოპული ორგანიზმებით არის გამოწვეული, ამასთან, მოსწავლეები ამომწურავად ვერ განსაზღვრავენ სუნთქვის პროცესსა და მის მნიშვნელობას. ამ კლასში ანატომიის, ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის პროგრამული მასალის გავლა ჩამორჩება 4-5 საათით.

ყ V კლასის მოსწავლეთა უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს, ვავილის აგებულებაზე, ამასთან, არ შეუძლია დაასახელოს მცენარის გამრავლებისა და გავრცელების, ზრდისა და განვითარების ორგანოები.

მასწავლებელი უგულებელყოფს განათლების სამინისტროს მითითების მახედვით ბიოლოგიაში საკონტროლო წერის ჩატარებისა და სიშინაო დავალების რვეულების წარმოების საქმეს. მას 1975-1976 სასწავლო წელს არცერთ კლასში არ ჩაუტარებია საკონტროლო წერა. სიშინაო დავალების რვეულებში, ნაცვლად სალექსიკონო მასალის, ტერმინების, ცხრილებისა და სხვათა შეტანისა, მოსწავლეებს ავალებს პასუხი გასცენ გაკვეთილის მიხედვით, სახელმძღვანელოს ყველა კითხვასა და დავალებაზე.

ბიოლოგიის კაბინეტში არ მოიპოვება არამარტო ტექნიკური საშუალებები და საცდელი მუშაობისათვის საჭირო ხელსაწყოები და მოწყობილობანი, არამედ სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენებისათვის ისეთი ელემენტარული ტაბულები, სქემები, ჰერბარიუმები და კოლექციები, რომელთა დამზადება სკოლას, ბიოლოგიის მასწავლებლებს მოსწავლეთა ძალებით შეუძლიათ. სკოლაში ფაქტიურად არ არსებობს ბიოლოგიის კაბინეტში არსებულ ფასეულობათა ზუსტი აღრიცხვა, რადგან რვეულის სამ ფურცელზე ჩამოწერილი კაბინეტის აღჭურვილობის არაოფიციალური ჩანაწერები არ შეიძლება ინვენტარიზაციის მასალად იქნეს მიჩნეული. სკოლას ორი სასწავლო წლის განმავლობაში ბიოლოგიის კაბინეტის საჭიროებისათვის არ შეუძენია საჭირო ხელსაწყოები, ინვენტარი და მასალები. ამასთან, არა აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთი, სასათბურე მეურნეობა (კვალსათბურიც კი) და ზოოლოგიის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინოებანი. ფორმალურად არის ჩამოყალიბებული ნორჩ ნატურალისტთა წრე, სკოლას არ მოეპოვება საცდელი პრაქტიკული მუშაობის ამსახველი არავითარი მასალა.

დაწყებით სამხედრო მომზადებასა და სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას საჭირო ყურადღებით არ ეკიდებიან წალენჯიხის I-ლი საშუალო სკოლის დირექტორი ვ. მიქავა და სამხედრო ხელმძღვანელი მ. შელია. ასეთი დასკვნის გაკეთების მიზეზი, პირველ რიგში, ის არის, რომ სკოლას არ აღმოაჩნდა დაწყებითი სამხედრო მომზადების ახალი სასწავლო პროგრამა. წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილებამ კი 1975 წლის 20 აგვისტოს ოფიციალურად აცნობა

სამინისტროს, რომ რაიონში აღნიშნული პროგრამები მიღებულია და დაურიგდა სკოლებს.

მოსწავლეთა დიდი ნაწილი დამაკმაყოფილებლად ვერ ეუფლებოდა პროგრამულ მასალას დაწყებით სამხედრო მომზადებაში. IX კლასის მოსწავლეებმა მტკიცედ არ იციან ავტომატის ნაწილები, არა აქვთ ამ საბრძოლო იარაღების დაშლისა და აწყობის ჩვევები, ხოლო X კლასის მოსწავლეებმა არ იციან აირწინაღის ზომის შერჩევის, ხმარებისა და ჩაცმის ელემენტარული წესები. დაბალია მოსწავლეთა სამწყობრო მომზადების დონე. ყოველივე ამის მიზეზია ის, რომ სამხედრო ხელმძღვანელი გაკვეთილებს ატარებს მოუმზადებლად, მეცადინეობაზე არ იყენებს თვალსაჩინოებასა და ტექნიკურ საშუალებებს, მოსწავლეებს საპროგრამო მასალას აძლევს არათანმიმდევრობით. მაგ.: მან IX კლასში მუშაობა დაიწყო ავტომატის შესწავლით, რაც მე-4 თემას წარმოადგენს, შემდეგ დაიწყო 1-ლი თემა-„მცირეყალიბიანი შაშხანა". მასწავლებელი პროგრამის მიხედვით არ მოითხოვს მოსწავლეებისაგან მხედრული წესების დაცვას, საკლასო ჟურნალში არ შეაქვს მოსწავლეებისათვის მიცემული საშინაო დავალება; ასევე, ჟურნალში არ არის ჩაწერილი სანიტარული რაზმეულის მოსამზადებლად ჩატარებული მუშაობა. სამხედრო ხელმძღვანელი არ ატარებს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის იმ ღონისძიებებს, რომლებიც განამტკიცებენ სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამულ მასალას. მსროლელთა ორი წრე, რომლებშიც გაერთიანებულია IX—X კლასების 34 მოსწავლე, მხოლოდ თეორიული მეცადინეობით იფარგლება. წრე, ფაქტიურად არ ასრულებს თავის დანიშნულებას.

სკოლაში, განათლების სამინისტროს მითითების მიხედვით, შექმნილია სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საზოგადოებრივი საბჭო, მაგრამ იგი არავითარ მუშაობას არ ეწევა.

სკოლაში მოწყობილ საბრძოლო დიდების კუთხეში ასახული არ არის წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის სამხედრო-პატრიოტული მუშაობა და დაწყებითი სამხედრო მომზადების მდგომარეობის მასალები.

დაწყებითი სამხედრო მომზადებისათვის სკოლა უზრუნველყოფილი არ არის საჭირო მატერიალური ბაზით-არა აქვს სასკოლო ტირი, მოძველებულია სტენდები, დაზიანებულია კინოაპარატი; დარღვეულია სასწავლო იარაღების აღრიცხვისა და შენახვის ინსტრუქ-

ციის 42-ე მუხლი. შემოწმების დღისათვის აღრიცხვაზე არ იყო 4000 ცალი მცირეყალიბიანი ვაზნა. სამხედრო-ტექნიკური პროფილის მიხედვით ავტოსაქმე ისწავლება, ავტოკლასი შევსებას საჭიროებს ... ლას მიღებული არა აქვს სასწავლო ავტომანქანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალენჯიხის 1-ელ საშუალო სკოლაში ფიზიკური აღზრდის უფროს მასწავლებლად დანიშნულია ა. კვარაცხელია, იგი ამჟამად გასულია დეკრეტულ შვებულებაში. მას ცვლის იმავე სკოლის სამხედრო მომზადების ხელმძღვანელი მ. შელია, რომელიც პენსიონერია, ამასთან, შეთავსებით მუშაობს რაიონის ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარედ. IV-VI კლასებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს (12 საათი) ატარებს ამავე სკოლის სამნეო ნაწილის გამგე შ. ცანავა, რომელიც შეთავსებით მუშაობს ამავე საგნის მასწავლებლად სოფელ საკალანდიოს 8-წლიან სკოლაში.

აღსანიშნავია, რომ არც მ. შელიას და არც მ. ცანავას არ გააჩნიათ სპეციალური ფიზკულტურული განათლება, მბედველობაში თუ არ მივიღებთ იმას, რომ შ. ცანავას 1940 წელს გავლილი აქვს ფიზკულტურის 6 თვიანი საინსტრუქტორო, ხოლო 1968 წელს ქ. ქუთაისში-ერთთვიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

დაწყებით კლასებში (I-II-III) ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს იმავე კლასის მასწავლებლები ასწავლიან.

სპორტულ დარბაზში არსებული სპორტული ინვენტარი მინიმუმითაც ვერ აკმაყოფილებს ფიზკულტურის პროგრამელი მასალის გასავლელად საჭირო მოთხოვნილებებს. დარბაზში აცვენილი და ზოგიერთ ადგილას ჩამტვრეულია იატაკი და ფანჯრის მინები, რის გამოც დარბაზში გაკვეთილების ჩატარება შეუძლებელია. დაცული არ არის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. სპორტული დარბაზისათვის ადრე განკუთვნილი გასახდელი ოთახი ამჟამად ფიზკულტურის მასწავლებლის სამუშაო ოთახადაა გადაკეთებული, თუმცა იქ არავითარი დოკუმენტაცია არ ინახება.

სკოლაში დღემდის არაა შექმნილი მშთ ნორმატივების მიმღები კომისია. სკოლის ბრძანების წიგნში არ არიან გატარებული ის მოსწავლეები, რომლებმაც მთლიანად ჩააბარეს მშთ ნორმატივები საფეხურების მიხედვით. მშთ ნიშნოსნებზე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არ არსებობს არავითარი სახის დოკუმენტაცია, მაშინ როდესაც 1974 წლის ფორმა № 1-ის მიხედვით ნაჩვენებია, რომ მომზადებულია I საფეხურის-12, II საფეხურის-4 და III საფეხურის-8

ნიშნოსანი, ხოლო 1975 წლის ფორმა 1-ის მიხედვით ნაჩვენებია, რომ სკოლაში მომზადებულია მშთ I საფეხურის-12, II საფეხურის-7 და III საფეხურის-11 ნიშნოსანი. ზემოაღნიშნულ ფორმებს სკოლის ბეჭდითა და ხელისმოწერით ადასტურებს სკოლის დირექტორი. [illegible] მიქავა. შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1972 და 1973 წლის დოკუმენტაციის ნახვა, ისიც არ იყო სრულყოფილი-აკლდა ცურვაში შეჯიბრების ოქმები.

სკოლაში ყურადღება არ ექცევა საგიტაციო მუშაობას ფიზკულტურაში, არ ეწყობა შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან, არ გამოდის სპორტული კედლის გაზეთი, ფოტოსტენდი და სხვა.

კლასგარეშე სპორტული მეცადინეობის ცხრილის მიხედვით სკოლაში არსებობს კალათბურთის სექცია, რომელსაც ცხრილით მეცადინეობა უნდა ჩაეტარებინა 20 იანვარს (სკოლის შემოწმების დღეს). სექციის მეცადინეობა არ ჩატარებულია.

ფიზკულტურის ძირეული საბჭოს მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, არ არის განაწილებული ფუნქციები საბჭოს წევრებზე. აქვთ მხოლოდ ფიზკულტურის ძირეულ საბჭოში შემავალ მოსწავლეთა სია.

ფიზკულტურის მასწავლებლებს არ გააჩნიათ ფიზკულტურის პროგრამული მასალის თემატურად განაწილების გეგმა-გრაფიკი კლასების მიხედვით. მასწავლებელ- მ. შელიას არ აღმოაჩნდა ფიზკულტურის სასწავლო პროგრამაც კი. მ. შელიამ მეთოდურად დაბალ დონეზე ჩაატარა ფიზკულტურის გაკვეთილი VII კლასში. მასწავლებელი არასწორად მიუთითებს მოსწავლეებს კალათბურთში პურის ტარების, გადაცემისა და ფარის ქვეშ შესვლის დროს დაშვებულ შეცდომებზე. არასწორია აგრეთვე მასწავლებლის ძახილები სამწყობრო სიარულის დროს.

წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლის სამუშაო გეგმების, ძირითადი სასკოლო დოკუმენტების წარმოებისა და ჩატარებული მუშაობის აღრიცხვის მასალების შემოწმებით აღმოჩნდა, რომ სკოლისა და კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმებში ასახული არ არის საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად 16-29 წლის მოქალაქეთა აღრიცხვისა და იმ პირთა სწავლებაში ჩაბმის საკითხი, რომლებმაც სხვადასხვა დროს დაამთავრეს 8 კლასი და არ სწავლობენ ამასთან, გეგმებში შეტანილი არ არის მოსწავლეთა **იდეურ-პოლიტიკური, სამხედრო-პატრიოტული, ინტერნაციონალური,**

ესთეტიკური,-ათეისტური და ზნეობრივი აღზრდის, აგრეთვე პროფ-ორიენტაციისა და შრომითი სწავლების, ტექნიკური, სპორტული და ნატურალისტური წრეების შექმნისა და მათ მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და დახმარების საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული კლასების ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმებში შეტანილი არ არის პიონერული მარშრუტები, რომელმაც უნდა განსაზღვროს პიონერებთან აღმზრდელობითი მუშაობა. ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმაში შეტანილია მარშრუტი „მშვიდობა და სოლიდარობა", მაგრამ აქაც მთელი მუშაობა მხოლოდ საუბრით ამოიწურება.

კლასის ხელმძღვანელების 1975-1976 სასწავლო წლის II ნახევრის სამუშაო გეგმაში შეტანილი არ არის საკითხები „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებებისა" და „1976 წელი—მეათე ხუთწლედის, ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლების წლის" გაცნობის შესახებ. VIII-X კლასების სამუშაო გეგმები არ ითვალისწინებს კავშირგარეშე ახალგაზრდებთან მუშაობისა და პროფორიენტაციის საკითხებს. სკოლაში ფორმალურად არსებობს პიონერული კლასების ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანება, ხოლო კომკავშირული კლასების მეთოდგაერთიანების გეგმები, დამუშავებული თემები და ოქმები, როგორც გამოირკვა, არ არსებობს.

გეგმები, რომელნიც კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის საკითხებს უნდა მოიცავდეს, სქემატურია, ამის გამო კლასგარეშე მუშაობა უფერული და ნაკლებად საინტერესოა. პოლიტინფორმაციების გრაფიკი არ განსაზღვრავს დროს და ადგილს, სადაც ესა თუ ის ღონისძიება უნდა ჩატარდეს. გამოირკვა, რომ ასეთი ხასიათის ინფორმაციები და საუბრები სკოლაში იშვიათად ტარდება. ამ ფაქტს ის ადასტურებს, რომ 1976 წლის 20 იანვარს უფროსკლასელ მოსწავლეთათვის ცნობილი არ იყო საქართველოს კპ XXV ყრილობის გახსნის დრო და განსახილველად შეტანილი საკითხები. სკოლაში არ არსებობს „ლენინური ჩათვლების" საატესტაციო კომისია. „ლენინურ ჩათვლებში" მონაწილე კომკავშირლებს არ ახსოვდათ თავიანთი კომპლექსური ვალდებულებები. არადამაკმაყოფილებლად გამოიყურება სასკოლო პრესა. მეათეკლასელებთან გასაუბრებით გამოირკვა, რომ მათ უმრავლესობას ჯერ კიდევ არა აქვს არჩეული პროფესია. ეს იმით არის გამოწვეული, რომ, როგორც აღინიშნა, მათთან პროფ-

ორიენტაციის საკითხებზე არავინ ატარებს ანკეტურ გამოკითხვებს, პროფესიის ამსახველ ლიტერატურულ გარჩევას, მხატვრული და საწარმოო ფილმების განხილვას, შეხვედრებს მეცნიერებთან, სოციალურად ისტური შრომის გმირებთან და მოწინავე ადამიანებთან. სკოლაში, მოსწავლეთა ესთეტიკური და ათეისტური აღზრდისათვის არ ტარდება სნვადასხვა კონკურსები, ლიტერატურული საღამოები, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები. რესპუბლიკურ კონკურსებში მონაწილეობის ამსახველი მასალები, სამუშაო გეგმები არა აქვს სიმღერის გუნდს და ქორეოგრაფიულ წრეს. არ წარმოებს მათ მიერ ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა. ფორმალურად არსებობს საგნობრივი წრეები. უინტერესოდ, უშინაარსოდ ტარდება პიონერული მუშაობა ცალკეულ კლასებში.

სკოლას პიონერული და კომკავშირული მუშაობის გაუმჯობესებისათვის საჭირო დახმარებას არ უწევს წალენჯიხის პიონერთა სახლი (დირექტორი ე. ლუკავა). სკოლის ორგანიზატორს გ. წურწუმიას, რომელსაც ამ თანამდებობაზე მუშაობის 5 თვის გამოცდილება აქვს, არავითარ დახმარებას არ უწევს რაიონის მეთოდური კაბინეტი.

პედაგოგიური საბჭოს მუშაობის ძირითადი და მთავარი ნაკლი ის არის, რომ განხილულ საკითხებზე ოქმში მხოლოდ დადგენილებებია შეტანილი, ხოლო მომხსენებლების მიერ წარმოდგენილი მასალები არც ოქმშია შეტანილი და არც ცალკე მოხსენების სახით ერთვის ოქმს. ამ დოკუმენტის მკითხველმა კამათში გამოსული მასწავლებლების სიტყვებით დაახლოებით შეიძლება გაიგო, რა ძირითად საკითხებზე იყო სჯა-ბაასი.

ყურადღება არ ექცევა საკლასო ჟურნალების წარმოებას, დარღვეულია აგრეთვე მოსწავლეთა მეოთხედური ნიშნების გამოყვანის წესი. ზოგიერთ ჟურნალში შეტანილი არ არის გაკვეთილების ცხრილი, შევსებული არ არის ჟურნალის ის გვერდები, სადაც აღირიცხება მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისა და საზოგადოებრივ დავალებათა შესრულების ცნობები. V° კლასის ჟურნალში ერთი მოსწავლე ორჯერ არის შეტანილი და სხვ. IX კლასის ჟურნალში შეტანილი არ არის ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების საკონტროლო წერის ნიშნები; 1975 წლის 3 ოქტომბერს, ასევე, ჟურნალში შეტანილი არ ჩანს საკონტროლო წერის ნიშნები ქარ-

თულ ლიტერატურასა და ქიმიაში, გადასწორებულია ნიშნები ბიოლოგიაში და სხვა. VIII-ის კლასში II მეოთხედში საკონტროლო წერები არ ჩატარებულა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი ნ. ესვანჯია). ამ კლასის მოსწავლე ჭინ-ამბარაძეს ქართულ ლიტერატურაში უწერია 3. 4. 2. 4, მეოთხედის ნიშნად კი „4“, მოსწავლე რ. ღ—ს—3. 2. 3. 2, მეოთხედის ნიშანი-„3“, ასევე მოსწავლე ნ. ს-ს II მეოთხედში მიმდინარე შეფასების ნიშნებად უწერია 3. 2. 4. 3-საბოლოოდ მეოთხედის ნიშნად უწერია „4“.

წალენჯიხის 1-ელ საშუალო სკოლაში დარღვეულია სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1970 წლის 31 დეკემბრის ინსტრუქცია „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მოსწავლეთა ყოფაქცევის შეფასების შესახებ“. აქ ყოფაქცევაში „სანიმუშო“ ეწერება მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომლებიც „5“-ზე და “4“-ზე სწავლობენ. სკოლისათვის ცნობილი არ არის, რომ დასახელებული ინსტრუქციით შეფასება „სანიმუშო“ ეწერება მოსწავლეებს, რომლებიც უფრო ბეჯითად სწავლობენ და განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობენ კლასისა და სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, სანიმუშოდ იქცევიან სკოლაში, შინ და ქუჩაში, განუხრელად ასრულებენ „მოსწავლეთა წესებს“. შეფასება „სანიმუშო“ უნდა დაეწეროს მოსწავლეთა მხოლოდ იმ ნაწილს, რომელთა ყოფაქცევა სამაგალითო იქნება სხვა მოსწავლეებისათვის. არასწორად არის შედგენილი წალენჯიხის 1-ლი სკოლის გაკვეთილების ცხრილი. მაგ.: VIII-IX-X კლასებში რუსული ენის, რუსული ლიტერატურის ნაცვლად ყველგან მხოლოდ რუსული ენაა შეტანილი, X კლასში საზოგადოებათმცოდნეობის 2 კვირეული საათი ცხრილში მე-6 გაკვეთილებად არის შეტანილი. ასევე, მეექვსე გაკვეთილზე ისწავლება ასტრონომია, რომელსაც ერთი კვირეული საათი აქვს მიცემული, ქართული ენა VII კლასში და სხვა. გადატვირთულია IX-X კლასების გაკვეთილების ცხრილი ორშაბათს და პარასკევს-ამ დღეებში 7-7 გაკვეთილია და ცხრილში შეტანილი ყოველი გაკვეთილი ძნელად ასათვისებელ საგნებს მიეკუთვნება.

სკოლის ბუფეტი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს 400-მდე მოსწავლისა და გახანგრძლივებული დღის ორი ჯგუფის მოთხოვნილებას; შემოწმების დროს ბუფეტში არ აღმოჩნდა სანიტარული წიგნი და კვების პროდუქტების მიღების საბუთები. არადამაკმაყოფილებელია პროდუქტებით მომარგების საქმე-1975 წლის დეკემბერ-

ში ბუფეტს მიუღია 120 ქილა ხახვის წნილი, რომელსაც სკოლის ბუფეტი ვერ იყენებს. ბუფეტს არა აქვს მაცივარი, მოუვლელია გაზქურა და სხვა ინვენტარი, ცუდად ირეცხება ჭურჭელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ბრიგადა ბრალეულად შეწონილად მიაჩნია, შემოწმების შედეგები განიხილოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ.

ნ. ახვლედიანი (ხელმძღვანელი)
მ. დევდარიანი
გ. დანიელოვი
ა. კვასხვაძე
ს. დვალიშვილი
ლ. გოგიავა
ნ. გიორგობიანი
დ. მახარაძე
კ. ჩხაიძე
მ. კორკოტაშვილი
ლ. ჯანიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 22 მარტის ბრძანება № 292

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალების გაცნობის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა ჩვენი პარტიის, ხალხის, მსოფლიო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, მოცემულია განვლილ მეცხრე ხუთწლედში მომხდარი ძირითადი ეკონომიური და პოლიტიკური ძვრების ღრმა და ყოვლისმომცველი ანალიზი. მასში ნაჩვეხებია ის გრანდიოზული მუშაობა, რომელსაც პარტია ეწევა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელების საქმეში.

ყრილობის გადაწყვეტილებებში ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა ქვეყნის შემდგომი განმტკიცების, ადამიანთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების გეგმები.

სკკპ XXV ყრილობამ თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნა, რომ საჭიროა სახალხო განათლების სისტემის კიდევ უფრო განვითარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებისა და მშრომელთა მზარდი კულტურულ-ტექნიკური დონის შესაბამისად. საყოველთაო-საშუალო განათლების სრულყოფა, საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლება, ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესება, მათი ეთიკური და ესთეტიკური აღზრდა, მასწავლებელთა კადრების მომზადებისა და გადამზადების შემდგომი სრულყოფა, საღამოს (ცვლიანი) საშუალო სკოლების მუშაობის გაუმჯობესება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალების მოსწავლეებამდე დროულად დაყვანისა და შესწავლის მიზნით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

—თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდონ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს საინსტრუქციო-მეთოდური წერილი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის გაცნობის შესახებ“;

—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალების გაცნობისათვის იხელმძღვანელონ „უჩიტელსკაია გაზეტას“ 1976 წლის 18 მარტის ნომერში გამოქვეყნებული ამ საინსტრუქციო-მეთოდური წერილით, ხოლო რესპუბლიკის ქართულმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა—1976 წლის 24 მარტის „სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნებული თარგმანით;

—გაითვალისწინონ, რომ საინსტრუქციო—მეთოდური წერილის II თავის მითითებათა განხორციელება უნდა მოხდეს აგრეთვე საქართველოს ისტორიისა და საქართველოს ფიზიკური და ეკონომიური გეოგრაფიის კურსების გავლისას. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რესპუბლიკის მიერ IX ხუთწლედში მიღწეულ წარმატებებს და X ხუთწლედში დასახული შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი ამოცანების გაცნობას. მიზანშეწონილია, ჩატარდეს გაკვეთილი თემაზე: „მეცხრე ხუთწლედის შედეგები და რესპუბლიკის შემდგომი განვითარების პერსპექტივები მეათე ხუთწლედში“. ამ საკითხის დასამუშავებლად გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც სკკპ XXV, ისე საქართველოს კპ XXV ყრილობის მასალები;

—კოლეგიების, სახალხო განათლებისა და სკოლების პედაგოგიური საბჭოების უახლოეს სხდომებზე მოისმინონ და განიხილონ სკკპ XXV ყრილობის მასალების მოსწავლეებამდე დაყვანისა და შესწავლის საკითხი, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ზემოხსენებუ-

ლი საინსტრუქციო-მეთოდური წერილის მითითებათა ცხოვრებაში განხორციელებას;

—სახალხო განათლების ყველა რგოლმა და სასწავლო-აღმზრდელობითმა დაწესებულებამ უახლოეს მომავალში შეიმუშაონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების პერსპექტიული გეგმები;

—სასწავლო წლის ბოლოს წარმოსადგენ წლიურ ანგარიშებში ცალკე გააშუქონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალების შესწავლისა და ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელების მდგომარეობა დაქვემდებარებულ სკოლებსა და სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში.

2. განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორებმა და მეთოდისტებმა მივლინებაში ყოფნისას შეამოწმონ საბჭოთა კავშირის XXV ყრილობას მასალების მოსწავლეებამდე დაყვანისა და შესწავლის მდგომარეობა.

3. სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების, სასწავლო-აღმზრდელობითმა სამმართველოებმა; სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. ამხ. რ. კანდელაკი, თ. ნიკოლაიშვილი, გ. გუჯეჯიანი, თ. ქლენტი, ნ. როგავა) სისტემატური კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების განუხრელად შესრულებაზე.

4. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების“ უახლოეს ნომერში. დაიბეჭდოს ბრძანებათა და ინსტრუქციაკრებულში, გამრავლდეს და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 31 მარტის ბრძანება № 323

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის 132 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან გახსნილი ლოგოპედური პუნქტების უმრავლესობა უზრუნველყოფილია სამუშაო ოთახებით, საჭირო ინვენტარითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით.

ლოგოპედიური პუნქტები ძირითადი დაკომპლექტებულია უმაღლესი ფილოლოგიური განათლების მქონე კადრებით, რომელთაც გავლილი აქვთ დახელოვნების კურსები, ამასთან, ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ლოგოპედიურ პუნქტებში 4 დეფექტოლოგი მუშაობს, 4 კი სწავლობს მოსკოვის დეფექტოლოგიის ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე.

აფხაზეთის ასსრ-ში 5 საშუალო სკოლასთან გახსნილ ლოგოპედიურ პუნქტში მომუშავე 10 ლოგოპედიდან 7 დეფექტოლოგია.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად, ლოგოპედთა საგრძნობი ნაწილი მონდომებით მუშაობს მეტყველებაში დეფექტის მქონე ბავშვებთან. ასეთი ბავშვების გამოვლინების მიზნით ისინი სისტემატურად ესწრებიან გაკვეთილებს, აზუსტებენ მეტყველების ნაკლის სახეებს, გულმოდგინედ გეგმავენ თავის ყოველდღიურ მუშაობას, მოხერხებულად იყენებენ საჭირო თვალსაჩინოებას, ხელსაწყოებს, დიდაქტიკურ მასალას. დადებით შედეგებს აღწევენ ლოგოპედები: თ. ფერაძე (ქ. თბილისის 1-ლი სკოლა), ა. კაციტაძე (რესპუბლიკური 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა), ნ. ბერძენიშვილი (ქ. თბილისის მე-5 სკოლა), ნ. ქეცბაია (35-ე სკოლა), მ. ფუტკარაძე (36-ე სკოლა), ლ. სარალიძე (43-ე სკოლა), თ. ბაქრაძე (47-ე სკოლა), ა. ინაშვილი (53-ე სკოლა), ნ. მამაგეიშვილი (54-ე სკოლა), ლ. ჭურციკიძე (66-ე სკო-

ლა), ნ. მაისურაძე (85-ე სკოლა), ნ. პატარიძე (87-ე სკოლა), ე. ყიფიანი (124-ე სკოლა), ს. მასხულია (147-ე სკოლა), [illegible], გ. ცარიცინა (ქ. სოხუმის ლოგოპედიური ცენტრი), [illegible] (ქ. სოხუმის 1-ლი სკოლა), ე. ტუღუში (ქ. ბათუმის 21-ე სკოლა) გ. ნიკოლაევა (ქ. ქობულეთის მე-2 სკოლა), მ. გაჩეჩილაძე (ლაგოდეხის ქართული სკოლა) და სხვ.

ქ. თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული, 1-ელი, მე-3, მე-5, მე-8, 31-ე, 85-ე, 36-ე; 53-ე, 124-ე, 130-ე საშუალო სკოლების დირექტორები ქმედით დახმარებას უწევენ ლოგოპედებს მუშაობის სწორად წარმართვაში, ესწრებიან მეცადინეობას და შემოწმების შედეგებს ისმენენ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქ. თბილისის საქალაქო მეთოდგაერთიანება (ხელმძღვანელი თ. ფერაძე), სადაც სხდომაზე ისმენენ მეთოდური და პრაქტიკული ხასიათის რეფერატებს, ატარებენ საქალაქო ღია მეცადინეობებს და სხვა.

კარგი ტრადიცია დაინერგა რესპუბლიკის რაიონების ლოგოპედიური პუნქტების მუშაობაში. გაიშალა მათი სამოქმედო ზონა. ლოგოპედები ყველა ახლომდებარე სოფელში აწარმოებენ მუშაობას მეტყველებაში დეფექტის მქონე ბავშვების გამოვლენის მიზნით, ამ მხრივ გამოირჩევიან ქ. გორის, თელავის, სამტრედიის, გურჯაანის, საგარეჯოსა და გორის რაიონების ლოგოპედიური პუნქტები.

აღსანიშნავია აფხაზეთის ასსრ-ში გაშლილი ლოგოპედიური მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ქ. სოხუმში ჩამოყალიბებული ლოგოპედიური ცენტრი (ხელმძღვანელი ა. ლოზოვოი). აღნიშნული ცენტრი მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს რესპუბლიკაში არსებულ ლოგოპედიურ პუნქტებს და ქალაქის სკოლამდელი და სასკოლო ასაკის მეტყველებაში მძიმე ნაკლის მქონე ბავშვებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, მთელი რიგი ლოგოპედიური პუნქტების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ლოგოპედების ერთი წაწილი არ მუშაობს თავისი პროფესიული და მეთოდიური დონის ასამაღლებლად, რის გამოც ზოგჯერ მათ მიერ დასმული დიაგნოზები არ არის ზუსტი, რაც უარყოფითად მოქმედებს მუშაობაზე და მეტყველებაში მოსწავლეთა ნაკლის გამოსწორებაზე.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ლოგოპედები: ლ. გოგნაშვილი (რესპუბლიკური მე-2 ექსპერიმენტული სკოლა), ც. რუხაძე (ქ. თბილისის მე-3 სკოლა), ლ. გუნიავა (მე-18 სკოლა), ლ. [illegible] (22-ე სკოლა), დ. გიორგაძე (26-ე სკოლა), ლ. გოგინაშვილი (38-ე სკოლა), ე. გოგოლაძე (55- სკოლა), ნ. ავალიშვილი (57-ე სკოლა), თ. აბრამიძე (64-ე სკოლა), ჟ. ზურაბიშვილი (143-ე სკოლა), ლ. ზანგურიძე (ქ. გორის მე-5 სკოლა) და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკაში მეთოდური ჟურნალი „დეფექტოლოგი" მხოლოდ 40 ეგზემპლარია გამოწერილი და ისიც სასკოლო ბიბლიოთეკების მიერ.

მიუხედავად არაერთი მითითებისა, ზოგჯერ ადგილებზე ლოგოპედებად ნიშნავენ ფილოლოგებს, რომელთაც არა აქვთ გავლილი ლოგოპედიური კურსები, ამასთან, მათი დანიშვნის საკითხსარ უთანხმებენ განათლების სამინისტროს (გურჯაანის 1-ელი სკოლის ლოგოპედი ი. ციციშვილი, თელავის მე-5 სკოლის ლოგოპედი მ. ქონანაშვილი, ლაგოდეხის რუსული სკოლის ლოგოპედი ე. ტიგმუზოვა, გორის მე-5 სკოლის ლოგოპედი ლ. ზანგურიძე) და სხვ.

რესპუბლიკაში ლოგოპედიურ პუნქტებს სისტემატურ დახმარებას ვერ უწევენ ადგილობრივი მეთოდური გაერთიანებები.

შემოწმებამ ცხადყო, რომ მომუშავე ლოგოპედები საჭიროებენ სისტემატურ კვალიფიციურ დახმარებას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ლოგოპედიური პუნქტების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ლოგოპედებს:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მეტყველების ნაკლის სახეობის განსაზღვრას და დადგენილი დიაგნოზის მიხედვით მუშაობას;

ბ) მეთოდურად სწორად წარმართონ საჭირო თვალსაჩინოების, დიდაქტიკური მასალისა და ხელსაწყოების გამოყენება და მიაღწიონ ბავშვთა მეტყველების გამოსწორებას. შეადგინონ მოსწავლეთა პიროველადი მეტყველების პირადი საქმე მაგნიტოფონური ჩანაწერით და გამოშვებისას მოახდინონ გაწეული მუშაობის დემონსტრირება;

გ) უკლებლივ ყველამ გამოიწეროს ჟურნალი „დეფექტოლოგი" და იქ გამოქვეყნებული სიახლეები გამოიყენოს ყოველდღიურ მუშაობაში თავისი თეორიული და მეთოდური დონის ასამაღლებლად.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა, სადაც გახსნილია ლოგოპედიური პუნქტები:

ა) სისტემატური კონტროლი დააწესონ ლოგოპედიური პუნქტის მუშაობაზე; სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც შეამოწმონ მისი მუშაობა და შედეგები გახადონ პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგნად;

ბ) 1976 წლის ბოლომდე უზრუნველყონ ლოგოპედიური პუნქტები მაგნიტოფონებით.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი), ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან (ამხ. გ. საყვარელიძე) ერთად:

ა) შეისწავლოს და 1976 წლის 1-ელ ივნისამდე წარმოადგინოს წინადადება ინსტიტუტის ბაზაზე ლოგოპედიური ცენტრის გახსნის შესაძლებლობის შესახებ;

ბ) 1977 წელს მოაწყოს გრძელვადიანი კურსები რესპუბლიკაში მომუშავე ლოგოპედებისათვის. ლექციების წასაკითხად მოიწვიოს რესპუბლიკაში მომუშავე მოწინავე დეფექტოლოგები.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი), ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე) შეიმუშაონ და წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებანი ქ. თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მეტყველებაში მძიმე ნაკლის მქონე ბავშვებისათვის მოსამზადებელი და 1-ელი კლასების გახსნის შესახებ.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) გაითვალისწინოს 1977 წლის ბიუჯეტში რესპუბლიკური ლოგოპედიური ცენტრისა და მეტყველებაში მძიმე ნაკლის მქონე ბავშვთათვის გახსნილი კლასების დაფინანსება.

6. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) ყოველწლიურად დააყენოს საკითხი ქ. მოსკოვის დეფექტოლოგიის ინსტიტუტის წინაშე რესპუბლიკაში მომუშავე ლოგოპედების დაუსწრებელ სწავლებაში ჩასაბმელად ადგილების გამოყოფის შესახებ.

7. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დააზუსტონ თავიანთ ქალაქსა და რაიონებში მეტყველებაში დეფექტის მქონე ბავშვების რაოდენობა. საჭირო შემთხვევაში წარმოადგინონ განათლების სამინისტროში მასალები ლოგოპედიური პუნქტის გასახსნელად;

ბ) ლოგოპედის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატურა შეუთანხმონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე) ქმედითი დახმარება გაუწიოს მომუშავე ლოგოპედებს მუშაობის სწორად წარმართვის საქმეში.

9. გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ.ნ. შველიძე) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. გ. საჯაია) თავიანთ ფურცლებზე სისტემატურად გამოაქვეყნონ მოწინავე დეფექტოლოგების თეორიული და მეთოდური ხასიათის წერილები და საუკეთესო ლოგოპედთა მუშაობის დადებითი გამოცდილება.

10. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაეკისროს სკოლების სამმართველოს (ამხ. რ. კანდელაკი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 4 მარტის დადგენილება.

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის შედეგებისა და რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა ამოცანების განხილვისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ სახალხო განათლების აქტივის კრებისა

საქართველოს სსრ სახალხო განათლების მუშაკთა აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა და განიხილა განათლების მინისტრის ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის შედეგები და რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა ამოცანები“, მთლიანად, იწონებს და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელების საქმეში. აქტივის კრებას მიაჩნია, რომ სახალხო განათლების დარგში სკკპ და საქართველოს კპ XXV ყრილობების გადაწყვეტილებების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლა რესპუბლიკის სახალხო განათლების თითოეული მუშაკის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

განვლილ ხუთწლედში, მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად, დიდი წარმატებები მოიპოვეს საქართველოს სსრ მშრომელებმა. რესპუბლიკამ ვადაზე ადრე, 1975 წლის 2 დეკემბრისათვის შეასრულა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებითა და IX ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული დავალებანი. ეს წარმატებები მოპოვებულ იქნა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის პრინციპული და თანმიმდევრული ბრძოლის შედეგად, ყველა სფეროში პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, სხვადასხვა ნეგატიური მოვლენის დაძლევის, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების გზით.

ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 2 ივნისის დადგენილებით „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დასრულებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ", 1973 წლის 2 ივლისის დადგენილებით სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". კანონით „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ", საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, სკოლამდელმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ერთგვარად გარდაქმნეს მუშაობა.

განვლილ ხუთწლედში ამაღლდა სკოლებში სასწავლო პროცესის დონე. შემცირდა მეორეწლიანობა და არასაპატიო მიზეზით სკოლიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა. შესრულდა მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა დღისა და საღამოს სკოლებში, სათანადო ყურადღება მიექცა მოსწავლეთა შრომით აღზრდასა და პროფორიენტაციულ მუშაობას, გაუმჯობესდა კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით სკოლების დაკომპლექტება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იქცა არა მარტო სახალხო განათლების, არამედ პარტიული, საბჭოთა ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების, მთელი საზოგადოებრიობის ზრუნვის საგნად. ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცა სასკოლო შენობები 160000 მოსწავლის ადგილით, მათ შორის სოფლად 109402 მოსწავლის ადგილით ე. ი. 830 ადგილით მეტი, ვიდრე დაგეგმილი იყო IX ხუთწლედში, ხოლო VIII ხუთწლედთან შედარებით 26400 მოსწავლე-ადგილით მეტი. აშენდა ბაგა-ბაღები 2690 ადგილით.

დიდი დახმარება გაუწიეს სკოლებს შეფმა ორგანიზაციებმა: მარტო 1975 წელს მათ სკოლების საჭიროებისათვის გაიღეს 6 მილიონზე მეტი მანეთი. ამ მხრივ კარგი ტრადიციები დამკვიდრდა თბილისში, ქუთაისში, ტყიბულში, ზუგდიდში, აგრეთვე ზუგდიდის, ცხაკაიას,

ხობის, გეგეჭკორის, მახარაძის, ჩოხატაურისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელებმა და პედაგოგიურმა კოლექტივებმა ენერგიული მუშაობა გაშალეს მოსწავლეებსი და აღსაზრდელებში საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალურ სოლიდარობის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საზოგადოებრივი დოვლათის გამრავლებისა და დაცვის, უდისციპლინობის წინააღმდეგ შეურიგებლობის გრძნობათა აღსაზრდელად.

ამასთან, რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა აქტივს, რომელსაც ღრმად აქვს შეგნებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული უდიდესი ამოცანები, მიაჩნია, რომ სახალხო განათლების ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

უკანასკნელ პერიოდში წითელწყაროს, ცაგერის, წალენჯიხის, საჩხერის, ლაგოდეხისა და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ფრონტალური და თემატური შემოწმებით გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებები როგორც სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, ისე სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობაში.

აქტივს შეუწყნარებლად მიაჩნია ზოგიერთი სკოლის პრაქტიკაში დღემდე შემორჩენილი „შპარგალკობანა", მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისადმი ზერელე მიდგომა, ლიბერალიზმი და პროტექციონიზმი, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგებში. ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა საგრძნობი ნაწილი არასაკმაო ცოდნას იჩენს უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩაბარებისას.

აქტივის კრება რესპუბლიკის სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ყურადღებას მიაქცევს რიგ სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის დაბალ დონეზე. მოსწავლეთა ერთი ნაწილი ცუდად სწავლობს, თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მონაწილეობას, გაკვეთილების დროს არღვევს დისციპლინას, უხეშობს, არ იცავს „ქცევის წესებს" სკოლაში და მის გარეთ.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება მიექცა სასკოლო მშენებლობას და რესპუბლიკამ ამ მხრივ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მთლიანად მაინც ვერ შესრულდა ხუთწლედის დავალებები. განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენაა ბაგა-ბაღების მშენებლობის საქმეში; ხუთწლედის დავალება შესრულდა მხოლოდ 72 პროცენტით; ვერ შესრულდა არაცენტრალიზებული დაფინანსებით სკოლების მშენებლობის გეგმაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების მხოლოდ მცირე ნაწილია გადასული სწავლების კაბინეტურ სისტემაზე. რესპუბლიკის ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ან საერთოდ არ აქვს სასწავლო კაბინეტები ცალკეულ საგნებში, ან ცუდად არიან ისინი აღჭურვილი თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით. ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლას არა აქვს სასწავლო სახელოსნო და საცდელი მიწის ნაკვეთი.

გაუმჯობესებას მოითხოვს სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხი; მცირე რაოდენობით იცემა მასწავლებელთათვის აუცილებელი დამხმარე მეთოდური ლიტერატურა.

რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა აქტივის კრება აღფთროვანებით ხვდება სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს მეათე საუბილეო ხუთწლედისათვის, კრება რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების უპირველეს ამოცანად თვლის განუხრელად იხელმძღვანელონ ყოველდღიურ მუშაობაში იმ დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც მოცემულია ყრილობისადმი სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

იმისათვის, რომ დროულად და წარმატებით განვახორციელოთ სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობების მიერ სახალხო განათლების დარგში მეათე ხუთწლედში დასახული სერიოზული ამოცანები, სრულვყოთ მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საქმე, რისთვისაც მკვეთრად ავამაღლოთ გაკვეთილის როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი ფორმის ხარისხი და ეფექტურობა, საქართველოს სსრ სახალხო განათლების მუშაკთა აქტივის კრება რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა მუშაკს ავალებს:

—თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში განუხრელად და მტკი-

ცედ იხელმძღვანელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კპ XXV ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებებით, იბრძოლონ მეათე ხუთწლედში სახალხო განათლების დარგში დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის;

—უახლოეს მომავალში შეადგინონ პერსპექტიული გეგმები სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების, სახალხო განათლების დარგში პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სხვა ფუძემდებლური გადაწყვეტილებების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის;

—სკოლებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში, სახალხო განათლების ორგანოების კოლექტივებში მოაწყონ სკკპ XXV ყრილობის მასალების განხილვა, მოსწავლეებამდე დაყვანა და შესწავლა იმ გეგმებისა და მითითებების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 30 იანვრის № 63, 22 მარტის № 292 ბრძანებებით;

—დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში, განათლების ორგანოების შრომით კოლექტივებში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომ ამაღლებას;

—გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობისადმი. მეტი ყურადღება მიაქციონ შესრულების შემოწმებისადმი სისტემატური კონტროლის დაწესებას; პრინციპულობა და მომთხოვნელობა გამოიჩინონ შეაჩნეულ ნაკლოვანებებთან ბრძოლის საქმეში;

—მთელი პასუხისმგებლობით მიუდგნენ კადრების აღზრდას, შერჩევასა და შესაფერის სამუშაოზე მათ გადანაწილებას. მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ საქმეში კადრებთან მუშაობის ლენინური პრინციპებით;

—მხარი დაუჭირონ მოსკოვისა და თბილისის ზოგიერთი სკოლის პედკოლექტივების ინიციატივას და მოწოდებას „სანიმუშო კომუნისტურ ქალაქს-სანიმუშო სკოლები“ და „სანიმუშო კომუნისტური კულტურის, სანიმუშო შრომისა და ყოფაცხოვრების ქალაქს—სანიმუშო სასწავლებლები“;

—შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადონ პროტექციონიზმს, ლო-

ბერალიზმსა და ჩვენი ცხოვრების სხვა, დღემდე შემორჩენილ უარ-ყოფით მოვლენებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

—არსებითად გააუმჯობესონ ზოგადსაგანმანათლებლობ[illegible]ში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, იზრუნონ მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების, მათი უნარისა და პრაქტიკული ჩვევების განვითარების, მოსწავლეებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, კომუნიზმის იდეალებისა და სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდისათვის;

მეტი ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ, ინტერნაციონალურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ეთიკურ, სამართლებრივ, სამხედრო-პატრიოტულ და ათეისტურ აღზრდას. საამისოდ სკოლებში მოაწყონ ჩვენი დიდი სამშობლოს გმირული წარსულისა და აწმყოს ამსახველი სტენდები, გამოფენები, მუზეუმები, კუთხეები; ჩატარონ შეხვედრები სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებთან;

—განამტკიცონ სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის კავშირი ახალგაზრდა თაობის კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლად ფორმირებისათვის;

—მეტი ყურადღება დაუთმონ სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლას, გადაიყვანონ ისინი სწავლების კაბინეტურ სისტემაზე. სათანადოდ აღჭურვონ და ფართოდ გამოიყენონ სწავლებაში სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები; სასკოლო მშენებლობისა და სკოლების ეზო კარმიდამოს მოწყობის საქმეში ფართოდ ჩააბან შეფი ორგანიზაციები.

სახალხო განათლების მუშაკთა აქტივის კრება ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის ამ დარგის მუშაკთა მრავალათასიანი არმია, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის მოწინავე და მრავალრიცხოვანი რაზმი, ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს—განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი სახალხო განათლების დარგში სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობის მიერ დასახულ ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების
მუშაკთა აქტივის კრება

თბილისი, 1976 წელი, 30 მარტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა
Ф. 56/7

შინაარსი

1. ბრძანება № 65—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მარტივი ტიპის ტირეების მშენებლობის შესახებ . 3
2. ბრძანება № 135—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმებზე სროლაში ჩასატარებელი ვარჯიშების მდგომარეობის შესახებ 5
3. ბრძანება № 139—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების სამხედრო ხელმძღვანელთა მეთოდური გაერთიანებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 8
4. ბრძანება № 177—საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის სახ. რესპუბლიკური სპეციალიზებული საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტინგენტით დაკომპლექტების შესახებ 10
5. ბრძანება № 263—განათლების სამინისტროში შემოსული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრის საფუძველზე წალენჯიხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და წალენჯიხის 1-ლი და მე-2 საშ. სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 13
6. ბრძანება № 292—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ- XXV ყრილობის მასალების გაცნობის შესახებ . . 54
7. ბრძანება № 323—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ლოგოპედიური პუნქტების მუშაობის შესახებ 57
8. რეზოლუცია —საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის შედეგებისა და რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა ამოცანების განხილვისადმი მიძღვნილი საქართველოს სსრ სახალხო განათლების აქტივის კრებისა 62